

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 96

2020



მთ. რედაქტორი

**ნინო გამილაშვილი**

პოეტი, საქართველოს  
მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა  
საერთაშორისო აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს წევრი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-903-5 (96 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენისგის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მეცნიერის, ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეო მეცნიერობის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენი 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგარია ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰგავს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაბიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

ჭირასიტევაობის მაბიერ

(გაგრძელება)

აი, სხვა ლექსიც, რომელიც ზემოთ განხილულ  
ლექსებს მოსდევს ვაჟა ეგრისელის წიგნში „მოლოდი-  
ნი“:

ტყეთა სიმწვანე  
და მზის ძახილი,  
მთათა ცრემლი და  
ნაღვლიანი  
მოთქმა, მდინარის,  
ზამთრის თეთრ ტოტზე მიცოცავენ  
როგორც მღილები.  
და მცირე ბორცვზე სასაფლაოც  
თოვლქვეშ

მძინარი,

თეთრად გადედილ გულმკერდს შეიძნევს  
ია-იების ლურჯი ღილებით.

აქაც საქმე ზოგადობის კონკრეტულობის მრა-  
ვალსახეობით წარმოდგენასთან გვაქვს საქმე.  
ვაჟა ეგრისელის პოეზიაში უხვადაა წარმოდგე-  
ნილი მხატვრული თვალთახედვით დანახული, რო-



გორც ემპირიულ-კონკრეტული, რომელიც მოვლენათა სფეროდან აიღება (ცდისეული), ასევე ზოგად-კონკრეტული, რომელიც არსთა სფეროტი საზრდოობს.

ემპირიულ-კონკრეტულ სტილშია შექმნილი ვაჟა ეგრისელის ქვემოთმოტანილ ლექსში დიდებული მხატვრული სურათი:

მინდა ვიხილო შემოდგომა –  
ჩემი სიცოცხლის,  
ჩამოხუნძლული  
იმედების მწიფე ნაყოფი,  
და თუ... შუა გზაზე დამეწია  
ლამე ტიალი,  
მაშინ თბილისში,  
ჩემს მაგივრად,  
ჩემი არყოფნა  
და ჩემი ლანდი იხეტიალებს...  
მოვლენები ამ ლექსის ამოხატულია სიტყვებით;  
ხილვა, ჩამოხუნძლვა, დაწევა, არყოფნა, ხეტიალი.  
ისინი თავიდან ბოლომდე დინამიურ სურატს ჰქმნიან.  
მეოთხეელს ისეთი შტაბეჭდილება რჩება, რომ დიდებულ  
დინამიურ სურათს ლექსის ბოლოში დასმული  
წერტილიც კი ვერ უდებს საზღვარს და იგი კვლავ  
მოძრავი რჩება.  
ასეთივეა ლექსიც:  
წვიმებს გადაჰყვა  
შორეული თოვლის ზმანება,



დაპატარავდნენ თეორი ქედები,  
დამე ჩაედგათ  
ჩამქრალ გუბებში...

ჩემი წესილი

ზამთრის მიღმა  
ისევ თენდება  
და ვიძირები შენს სიღრმეში,  
შენს სიჩუმეში.

ახლა გავნიხილოთ ვაჟა ეგრისელის რამდენიმე  
ლექსი, რომლებშიც სახითმეტყველება ზოგად-კონ-  
კრეტულ (არსთა სფეროში) მიმდინარეობით ვითარ-  
დება:

სანაპიროზე წევს ივლისი –  
ტანაქერცლილი  
და ცხელ ქვიშაზე ხარხარებს ხვატი.  
ნაპირთან გდია პატარა ნავი,  
ვით აფროდიტეს

ცისფერი ქოში.  
მიწის კალთაში კვლავ უდევს თავი  
ზღვას და...  
ნაპირის სგელ სახეს ლოშნის.

რამხელა სტატიკური სურათია! ყველაფერი,  
რაც არსთა სფეროს განეკუთვნება: სანაპირო, ქვიშა,  
ნაპირი, ნავი, აფროდიტე, ქოში, მიწა, კალთა, თავი,  
ზღვა უძრაობის მიძინებულ მდგომარეობაშია. ისიც  
კი, რაც მოვლენასა და თვით მოძრაობას უნდა გა-  
მოხატავდეს: ხარხარებს (ხვატი დგას და ხარხა-



რებს), ლოშნის (ზღვა წევს და ლოშნის), სტატიგუ-  
რობის მიმანიშნებელია.

მკითხველის სულში კი ყოველივე ეს რაღაცას  
აღძრავს ხოლმე, სურვილისა და მოქმედების მასტი-  
მულირებელს, – იქ ვიყოო ნეტავ, მოხარხარე ხვატს,  
აფროდიტეს ცისფერი ქოშის მსგავსი ნავი მოვსტა-  
ცო და თავი ზღვას მივსცეო.

ზოგად-კონკრეტული სახითმეტყველების ნათე-  
ლი ნიმუშია ვაჟა ეგრისელის ეს ლექსიც:

ტალღების ჩქამი

თვალცრემლიან ნაპირს ეფარვის,  
თოლიები კი თეთრი ფრთებით თოვენ მოწყენას.  
ცა თმას ივარცხნის ცისარტყელას

ფერად თითებით.

მე შორეული მოგონების

ნელ ცეცხლზე ვთბები  
და ვხედავ: ქარის გალობაზე

ამაღლდნენ ზღვები.

და ცის ლაჟვარდში

წვიმის სველი ხმები ინთება.

მივაქციოთ ყურადღება სიტყვებს „სველი ხმები  
ინთება“. უფრო ადვილია კაცმა წარმოიდგინოს სის-  
ველის ხმა, ვიდრე სველი ხმა, თუმცა ერთიცა და  
მეორეც განსჯისათვის წარმოებული მეტყველების  
მიღმა არსებობს და მხატვრული მეტყველების სფე-  
როს განეგუთვნება. მათგან ვაჟა ეგრისელი უფრო  
ძნელად წარმოსადგენს, „სველ ხმებს“ ირჩევს.



ვაჟა ეგრისელის პოეზია მთლიანად პოეტის ინდივიდუალური მხატვრული მეტყველებაა, მას „თავისი გრამატიკა“ აქვს, „თავისი სტილი“, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია მთელს ქართულ პოეზიასთან, გამომდინარეობს მისგან, არის მისი შენაკადი, მაგრამ თავისებურია, და პოეტის ინდივიდუალობის კოლორიტულად წარმომჩენია. ეს ეხება როგორც შაირის სტრიქონებში წიანდადებების წყობას, ასევე მათში სიტყვების განლაგებას და თვით სიტყვებსაც.

თითქმის ყველა ლექსში პოეტს პირველი წინანდედები გამიზნული აქვს იმისაკენ, რომ მკითხველი მიუახლოვოს სათქმელს, საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირს, რაც ფიქრისა და განწყობის ობიექტი უნდა იყოს. აი, როგორ იწყება ოთხი ლექსი, რომლებიც წიგნის „მოლოდინის“ ორ, 176-177 გვერდზეა მოთავსებული:

პირველი ლექსი:

წარსულის ტრამალს

შენი ეტლი გადმოაქროლე

და სიყვარულით ისევ მოგვხედე.

მეორე ლექსი:

სიკვდილ-სიცოცხლე – მძღე ყევარი –

ჩელა და ლომბა

მძიმედ მიათრევს

წუთისოფელს...

მესამე ლექსი:



წლები გუნდ-გუნდად მერცხლებივით  
შორს გაფრენილან.

მეოთხე ლექსი:

ამოუღამდა თვალები ლოდინს  
და უშენობას

წუხს არემარე.

ყველა ამ ლექსში, მხატვრული მეტყველების მრავალსახეობით არიან დახუნძლული, ერთი, ასე ვთქვათ, „ხერატეგიული“ გეგმაა ჩადებული დასაწყისიდანვე, – შექმანს დისპოზიციის გაშლისათვის საჭირო ნიადაგი, თანაც, თავიდანვე მისცეს ბიძგი მკითხველის განსჯასა და განცდას.

ნამდვილი პოეზია უშუალო, სტიქიურად მომსკდარი გრძნობიდან იწყება ხოლმე და, თუ ის განსჯისათვისაა გამიზნული, ეს განსჯა ბოლო დროისათვისაა შემონახული. ასეთია ილიას ლექსი:

აყვავებულა მდელო,

აყვავებულა მთები,

მამულო, საყვარელო,

შენ როსდა აყვავდები?!

ლექსის პირველი ორი სტრიქონი პოეტის ინტივიტური რეაქცია მოვლენებზე, მომდევნო ორი კი – განსჯა.

კოლორიტულადაა ნამდვილი პოეზიისათვის დამახასიათებელი ეს მანიშნებელი მოცუმული ვაჟაფშაველას ლექსში:

ხდგა დამდგარიყო ცრემლისა,



შიგა პყვაოდნენ იანი,  
ნეტავი არ გამაგონა  
ტურფავ, მე შენი ზიანი.  
შენსკენ იტაცებს თვალ-გულსა  
ლალი ოცნება ფრთიანი,  
როცა ვერ გხედავ თვალითა,  
დღე მიბნელდება მზიანი.  
მზეთუნასავის ნახვაცა  
უშენოდ ჩალა-ბზე არი.  
უშენოდ დღე მიბნელდება  
შენგნით კი დამეც დღე არი.  
მე კი მიყვარდე, შენ – არა,  
ეს სადაური ზნე არი.  
მთელი თორმეტი სტრიქონი ლექსისა ინტუიტი-  
ური რეაქციაა მოვლენებზე, მხოლოდ ბოლო თრი  
ემსახურება განსჯას.  
ლალად მომდინარეობს ვაჟა უგრისელის ლექ-  
სიც თავიდანვე და მკითხველი პოეტის სათქმელ-სა-  
ფიქრალს ლამაზ, მხატვრულ ფერებში ბოლოს, დე-  
სერტივით მიირთმევს ხოლმე:  
შორეთის ფსქერზე  
მოციმციმე ნათელს  
ვუჭვრებდი,  
ვერებში მხოლოდ მე მიყვარდა  
ჩემი ქართული  
ლაქვარდი  
ცის რომ შეაბოლეს ლურჯმა იებმა,



და... ანთებული წმინდა სანთურიო,  
დაფნას, ჩემსავით, აქ  
არავინ

არ ეძიებდა.

საფიქრალი და საოქმელი აქ ბოლოსაა მოთავ-  
სებული: მოკრძალება ამშვენებს ადამიანს.

„რაიც ყოფილა იგივე იქნება, არაფერია მზის  
ქვეშ ახალი“, გვეუბნება ეკლესიასტე, სამყაროს  
წრებრუნვაში ეს, შეიძლება, ასეა, მაგრამ პოეზიაში  
საქმე სხვაგვარადაა. ახალი იყო ქართულ პოეზიაში  
შოთა რუსთაველი და დღესაც და მუდამ ახალი იქ-  
ნება. დავით გურამიშვილიც ასე, რამეთუ ისინი არა-  
ვის იმეორებენ და მათაც ვერავინ გაიმეორებს.

ახალია ვაჟა ეგრისელიც, — მან ისეთი პოეზია  
შექმნა, რომელიც არავის იმეორებს და თვით მისი  
განმეორებაც სხვათა მიერ წარმოუდგენელია.

ზემოთ მოტანილ ლექსებს ერთი კანონზომიერებ-  
ბა მართავს — იწყებიან განწყობით და მთავრდებიან  
საოქმელით, მაგრამ ისინი ხომ მაინც სხვადასხვაგ-  
ვარნი არიან თვისობრივად, ფორმითაც და შესრუ-  
ლების ხერხითაც!

ერთი კანონზომიერებაც შეიმჩნევა ორიგინალუ-  
რი, ინდივიდუალური ხელწერის პოეტთა შემოქმედე-  
ბაში, ესაა მეტყველებაში საკუთარი, მხოლოდ მის-  
თვის დამახასიათებელი სიტყვებისა და სიტყვათა  
კავშირების შემოტანა. ასეთია აკაკის „ცა-ფირუზ-  
ხმელეთ-ზურმუხეტი“, გალაკტიონის „ლოცვა განუ-



კურნელი“ და სხვა. ვაჟა ეგრისელის პოეზიაც ასეა შემკული მისმიერი სიტყვებითა და ფრაზებით: „არა-რაობს“, „ცივი ჭიხვინი“, „ანთია ყანჩა“, „ომებს გმინავს“, „თოვენ მოწყენას“ და მრავალი სხვა. ეს სახითმეტყველებას მისას განუმეორებელ თავისთავადობას სძენს.

### თავი მეშვიდე

#### სტილი. ინდივიდუალობა. ნოვატორობა

მონოგრაფიის ამ თავის სახელდებაში, სადაც პოეტისადმი მიძღვნილი ლიტერატურა უნდა მიმოვინილოთ, ის სამი სიტყვა დაგვეხმარა, რომლითაც, უმთავრესად, მონათლეს მეცნიერბმა, მწერლებმა და მკითხველებმა ვაჟა ეგრისელის მიერ ქართულ ტრადიციულ პოეზიაში შემოტანილი სიახლენი. ძირითადად ამ სიახლეებზე ჩვენ წინა თავებში გვქონდა ლაპარაკი. ამჟამად გვინდა წინა თავებში გამოთქმული მოსაზრებები უფრო ნათელვყოთ სხვათა ნააზრევის დამოწმებით.

ვაჟა ეგრისელის პოეზიამ მკითხველის ყურადღება თავიდანვე მიიყრო. შემდეგ და შემდეგ პერიოდულ პრესაში სულ უფრო ხშირად ვხვდებით მის წიგნებზე დაეწრილ მეცნიერების, მწერლების, მკითხველების რეცენზიებს.



უმჯობესია მიმოხილვა დავიწყოთ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მილოცვით პოეტის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა 1991 წლის 18 ოქტომბერს და, სხვა რომ არაფერი, კოლექტიური აზრის გამომხატველია და ერთგარ პრიორიტეტს იმსახურებს. ამ მილოცვაში ნათქვამია:

„მინიატურული სალექსო ფორმა  
თქვენთვის ბუნებრივ საზროვნო სივრცედ იქცა, რამაც ხელი შეგიწყოთ  
თვითმყოფადი სტილის დამკვიდრებაში“.

საკუთარი, თვითმყოფადი სტილის შექმნა რჩეულ შემოქმედთა ხვედრია. მწერლები, ვისაც ეს ბედნიერება ხვდა წილად, მთელს თავის ცხოვრებას ანდომებენ ამ საქმეს. ვაჟა ეგრისელმა სამი ათეული წელი მოახმარა საკუთარი თვითმყოფადი სტილის შექმნას და მისი დამკვიდრებაც მოასწრო.

მხატვრული სტილი მრავლმხრივი და სინთეზური ბუნების მოვლენაა, რომლის შინაარსში შედის ისეთი კომპონენტები, როგორიცაა:

- ა. აშკარად გამოკვეთილი საკუთარი „მე“;
- ბ. მხატვრული ენის კონკრეტული ხასითი;
- გ. ეპოქის სოციალურ-ეროვნული ფონი;
- დ. ესთეტიკური სიმაღლე;
- ე. ზნეობრივი სიმაღლე;
- ვ. შემოქმედის სულიერი სამყარო;

ბ. აზრის უფრო მკვეთრად გამოხატვა, ვიდრე ქმოციისა, ან პირიქით;

თ. ოქმისა და მისი განსახოვნების ხერხები და საშუალებანი.

აქ შეიძლებოდა მიგვემატებინა სიტყვები „და სხვა“, რაღაც ამ კომპონენტთა სრული ჩამოთვლა, ჩემის აზრით, მეცნიერებას არ შეუძლია, თუ მას არ სურს გააუბრალოვოს მხატვრული სტილის მეტად რთული ბუნება. ადნიშნული რვა კომპონენტის ჩამოთვლით იმიტომ დაგჭმაყოფილდით, რომ ისინი ცოტად თუ ბევრად მოიცავენ მხატვრული სტილის შინაარსს, გვაძლევენ მის განსაზღვრის საშუალებას.

არცერთი ამ კონცონენტთაგან, ცალკე აღებული, მწერლის მხარვრულ სტილს არ გვაძლევს, ხოლო, როცა ისინი მრავალმხრივად და სინოეზურად ურთიერთქმედებენ, ვდებულობთ აშკარად წარმოჩინებულ შემოქმედის თვითმყოფად სტილს, რაზედაც მწერალთა კავშირის გამგეობის მიმართვაშია ლაპარაკი.

მეცნიერული თვალთახედვით თუ განვიხილავთ მწერლის შემოქმედებას, რომელმაც თავისი საკუთარი თვითმყოფადი მხატვრული სტილი შექმნა და დაამკიდრა, ვაჟა ეგრისელის შემოქმედების შესახებ მწერალთა კავშირის გამგეობის მიერ გაოთქმული აზრი სრულად ემთხვევა ჩვენს აზრს იმის თაობაზე, რომ ამ მწერლის სახით გვევლინება ნოვატორი, თვითმყოფადი, ინდივიდუალური სახის პოეტი.

—

ამასვე, სრულიად საფუძვლიანად ადასტურებს ცნობილი მწერალი, მეცნიერი, პროფესორი აკაკი თოფურია თავის წერილში „ნოვატორული ძიების გზაზე“, რომელიც 1992 წლის 11 ივლისს დაიბეჭდა გაზეთ „წიგნის სამყაროში“ აი, რას წერს იგი ამ წერილში:

„ვაჟა ეგრისელი ლექსების ბოლო ხანებში გამოცემული კრებულებით.... ჩვენს წინაშე ერთბაშად სახიერდება პოეტ-გამოცანად, პოეტ-მვლენად, პოეტ-ნოვატორად“...

აქვე მოვიტან პოეტ არჩილ ფირცხალვას სიტყვებს, მიძღვნილს ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისადმი ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი სამწერლო ასპარეზე ახალი გამოსული იყო (გაზ. „წიგნის სამყარო“, 1966 წ. 22 სექტემბერი):

„პოეტი მთლიანად ემიჯნება მათ, ვინც ე. წ. „განსაკუთრებული“ ოემების შერჩევით გადის ფონს და მეტწილ შემთხვევაში მკითხველის წინაშე მაღალფარდოვანი სიტყვების ბრჭყვიალით ცდილობს თავის მოწონებას. მის ლექსში, ნისლი რომ ნისლია, ისიც მარადიული ნათლის ჩქერალშია, განბანილი და ღამეც კი დილისმიერი სისპერაკის სახეცვლილ გაგრძელებად აღიქმება“.


პატივცემული მეცნიერების მოსაზრებათა უკუთესი გაგებისათვის მოგვიხდება ლიტერატურათ-მცოდნეობიდან მხატვრული ნოვატორობის ზოგიერთი მიმანიშნებელი მომენტის მოტანა.



უპირველეს ყოვლისა, ნოვატორობა გამორიცხავს ყოველგვარ „მომგებიანი თემების“ გამოდევნებას და პოზიორობას. „ყოველი ნამდვილი პოეტი, – ამბობდა ბესარიონ ბელინსკი, – მხატვრული ღირსების რა დონეზეც არ უნდა იდგეს და, მით უმეტეს, ყოველი ჭეშმარიტი დიდი პოეტი, არასოდეს არაფერს არ იგონებს“. ჭეშმარიტი დიდი პოეტი თავის შემოქმედებას ტრადიციის მაგისტრალურ ხაზზე აფუნქცირდება და, თუ რამეს ახალს შემატებს ტრადიციას, ეს ამ ტრადიციის ბუნებრივ განვითარებად უნდა გამოიყურებოდეს.

პროფესორი ნაპოლეონ ლემონჯავა თავის წერილში „საკუთარი ხალასი ხმის ძიებაში“, აღნიშნავს, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია გამოირჩევა ლაკონურობით, ფორმის სიახლით, მხატვრული აზროვნებით, შემცნებითი არეალის მრავალფეროვნებით.

ბატონმა პროფესორმა ეს წერილი თვრამეტი წლის დაწერა (იხ. გაზ. „ნაპერწყალი“, 1974 წ. 3 აგვისტო), როცა ვაჟა ეგრისელი მართლაც ნოვატორული გზის ძიებაში იყო. ახლა ეს ძიება დიდი ხნის დამთავრებული აქვს და უკვე დაიმკვიდრა საკუთარი ხმა. ამაზე მეტყველებს პოეტისა და პროფესორის შოთა ლომსაძის მეირ სულ ახლახან დაწერილი წერილი „ნათელმხილველი“ მკითხველის წინაშე წინასწარ უნდა მოვიხადო ბოდიში და ამ წერილიდან ვრცელი ამონაწერი შევთავაზო, რადგან მასში პოე-





ტის შემოქმედების თავისთავადობა კარგადაა დანახული:

„ვაშა ეგრისელი, თავისი ყველასაგან გამორჩეული, საკუთარი ხელწერით, ორიგინალური ხმით, მოვლენათა ხედვის მასშტაბურობითა და იდუმალი ხილვების უნარით, უკანასკნელი პერიოდის ქართული პოეზიაში თავისებურ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული...

ამ მარგალიტების ლამაზ მძივებად ასხმულ მინიატურულ ლექსებში როგორ დაატია ეს, ამხელა – „დაუმცხარალი სულის ღელვანი“!..

ზოგ შემთხვევაში, თუკი ამას სათქმელი მოიტანს, იგი არ ერიდება სტრიქონის დატეხვას და მარცვალთა აღრევასაც კი, მაგრამ ამას ისეთი ფილიგრანული ხერხებით აღწევს, რომ ლექსის თავდაპირველი განწყობა და ერთიანი რიტმული ქლერადობა არ ირღვევა...

პოეტის ხატოვანმა აზროვნებამ მის მკითხველს საგნებისა და მოვლენების აღქმის ახალი მისამდინარებელი გაუჩინა...

სოფიის კენჭებივით ელვარე ეს მინიატურული ლექსები პქმნიან იმ მოხიბვლელ მოზაიკურ პანოს, რომელსაც ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეზია ეწოდება.

„მერე, როდესაც წიწამურთან იქუხა თოფმა, შეკრთა და გულზე საქართველომ იტაცა ხელი“. ამ მეტაფორების შეუდარებელი თსტატის სატკივარი



უაღრესად ეროვნულია და უსაშველოდ დრამატიზ-  
მით დამუხტული“.

დავეთანებმოთ უნდა ბატონ პროფესორს ყველა-  
ფერში“

ნოვატორობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრა-  
დიციებზე ეფუძნება და ისაზღვრება იმით, თუ რამ-  
დენად იმეორებს მწერალი წინაპართა მიერ დადგე-  
ნილ შემოქმედებითს ნორმებს და რა ახალი შეიტანა  
მასში. ტრადიცია მსოფლგანცდიდან, მსოფლგაგები-  
დან, შემოქმედებითი პრინციპებიდან, აზროვნების  
სტილიდან და მხატვრული ასახვის საშუალებებიდან  
შედგება. ვერცერთ მათგანს პოეტი-ნოვატორი ვერ  
ასცდება და მათი შეცვლა კი არ უნდა განიზრახოს,  
როგორც ფესვებმა ხე. ნოვატორი ტრადიციებიდან  
განზე გამდგარი კი არა – ტრადიციებში ფესვგად-  
გმული უნდა იყოს.

თავად რუსთველი როდი აყენებს საკუთარ  
„მეს“ სხვა პოეტთა მაღლა, ზევიდან როდი დასცეკ-  
რის მათ, არამედ მათ გვერდით, თუ გნებავთ, მათმი-  
ერად მისეულ დგაწლს:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,

აბდულ-მესია – შავთველსა, ლექსი მას უქეს  
რომელსა,

დილარგეთ – სარგის თმოგელსა, მას ენადა-  
უშრომელსა,

ტარიელ – მიისა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-  
შეუშრობელსა.“

—  
ქართულ სამყაროსთან შესისხლხორცებულად  
გრძნობს თავს ვაჟა ეგრისელი, ისაა მისი სიღრმეც,  
სიმაღლეც და სილამაზეც:

რისხვა და ნგრევა საუკუნეთა  
მღვრიე ტალღებად  
ისევ ჩაუვლის...

მაინც დარჩება ვით ზღაპარი  
და სასწაული –

წიგნი ვეფხვისა,  
ნიკორწმინდა,  
ჯვარი,  
არმაზი –

ჩემი ქართულის სიღრმე, სიმაღლე  
და სილამაზე.

და ამ ლექსის წამკითველს აზრადაც არ მოუვა,  
რომ მის დამწერს გულში განაზრახი ედოს – რაიმე  
შემატოს ქართულ სიღრმეს, სიმაღლეს და სილამა-  
ზეს. ეს თავისთავად ხდება, ეს იმ ფესვებიდან ამო-  
დის, რომლებიც ტრადიციებში დგანან.

პროფესორი აკაკი გაწერელია ვაჟა ეგრისელის  
შემოქმედებისადმი მიძღვნილ თავის წერილს „კოლ-  
ხური ფსალმუნის გამო“ იწყებს ფრანგი პოეტის  
პოლ ვალერის სიტყვებით „ოპტიმისტები ცუდად წე-  
რენ“. და ადნიშნავს, რომ ნოქტიურნის მსგავს მცირე  
მოცულობის ლექსებში ვაჟა ეგრისელი სათქმელის  
მაქსიმუმის მოთავსებას ახერხებს. „ჩვენ, – წერს ბა-  
ტონი პროფესორი, – როგორც ასეთი ლექსების დი-




დოსტატების, ბარათაშვილისა და ტიუტჩევის თაყვანისმცემელი, განსაკუთრებით ვაფასებო ყველა იმათ მიღწევებს, რომლებიც წერტილის თავის დროზე დასმის უნარით დაუჯილდოვებია ბუნებას... პოეტურ შეგრძნებათა გადმოცემისას იგი ჩვეულებრივ მიმართავს პოეზიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს – მეტაფორას, რომელიც ვაჟა ეგრისელი სტილური ხელწერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.“

### პოზე მელაშვილი

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

*ნაწევები წიგნიდან – პოეზიის  
სამყაროში სამოგზაუროდ*

გაგრძელება შემდეგ ტომში





## მარტონა ლოდზე

სიტყვას არავის ვკადრებდი  
ცუდსა და არც აუგიანს  
მაინც მოსვლა და  
არც წასვლა,  
ჩემი არვის არ გაუგია.

1971

## არ განიგითხო

ამ საწუთროში რადგან მოხვედი,  
რომ ხარ მოკვდავი  
უნდა გახსოვდეს!  
რადგან ცხოვრება ცდა და  
უნდა გახსოვდეს!  
არ განიკითხო სხვა არასოდეს!  
და შენც –  
განკითხვის –  
ნუ გეშინია!

1987



\* \* \*

ვით ღვთისმოსავს და უპოვარს,  
მე მაღალი ღმერთი მზრდიდა.  
სიხარულს და  
მწუხარებას,  
ჩემთვის თოვდა,  
ჩემთვის ცრიდა.  
აი, ახლაც მასზე მლოცველს,  
პელაგ დამყურებს –  
ღმერთი ციდან.

1994



2003

ხალხს უბრუნდება რწმენა,  
კვლავ ტრიალდება  
წალმა,

ჩვენი ცხოვრების ჩარხი.

და ვით იტყოდა გალა:  
ზეიმობს გამარჯვებას –

ხალხი და...

მხოლოდ ხალხი.

2003



## ძგანარშია

გამიგონია ამბავი  
მთაში და  
ზოგჯერ ბარშიაც.  
იყოო თურმე ვიღიაცა  
კაცი ძუნწი,  
ქვახარშია.  
სახეს მთხლე ჩამოსდიოდა,  
ბმარი წვეთავდა ხმაშია,  
ეზო-კარს შემოვლებული,  
პქონდაო შავი არშია.

1969



## შუთისოფელი ასეა

თუნდაც ვიცოცხლო წელი ათასი

ამ წუთისოფლად ყოფნა

მაინც აღარ გვწყინდება!

რადგან ჩვენს ირგვლივ –

ბრუნავს


სამყარო

და ყოველ დილით –

მზე ახლიდან

ამობრწყინდება.

1970



## ალაგერდი

შორით ალაზნის ისმის ჩურჩული

და ლოცვად დგანან

მოები ყვარელის.

სანთლების ალში წუხს ალავერდი.

ანგელოზების ხმა –

საყვარელი,

ცას ეფინება,

როგორც ხავერდი.

1970



## სამშობლოვ ჩემო

ტაძარში როცა შევდივარ,  
ორ სანთელს ვანთებ ერთად.  
ერთი შენია ყოველთვის,  
რადგანაც გსახავ ღმერთად.  
ნიადაგ შენ ვლოცულობ,  
ტკბილო,  
სამშობლოვ ჩემო!  
ვარ სიხარულით მოუცული  
და შენს სიყვარულს ვჩემობ.

1976



## ქვეყნის

ქვეყნის  
მთის კედების  
და მთის კედების  
ქვეყნის დარაჯად,  
ნისლით მოსილი —  
მზე თუ...  
ქვეყნის.

1964

## სასაფლაო

ეამს წაუშლია ლოდზე წარწერა  
(ო, ამას ჰქვია მართლა აკლება!)  
ხავსის ღერები—  
შავ ლოდზე რომ მიიკლაპნება...  
გაიგლის ეამი...  
და გაფანტავს დღეებს  
ფიფქებად..  
არც ლოდზე ხავხი,  
და არც ლოდი  
ადარ იქნება!

1972

## ოცნება

ჩემს სულში ცეცხლი ანთია,  
ჩამქრობი ვნახე ვეღარა!  
მინდოდა წუთისოფლისოვის,  
რომ წარბი არ შემეხარა.  
ნუგეშისმცემელს ვეძებდი,  
აბა,  
საღ,  
ვისთან ვპოვებდი  
ტყუილად დაშრა ოცნება  
ჩემი და...  
ჩემში პოეტის.

1956

## 800 ხორგას და კაჭალხევს

გვა,

რა ჟამი გასულა  
ჭაღარა გამომრევია,  
ვით ჩემს ხორგას  
და კაჭალხევს.  
მორჩა!  
ან ჩემი ბავშვობა,  
მკლავებს გერ აიკარწახებს.

1960



## ბარისახოში

მოსადამოვდა...

ხევები,

დატოვეს შავმა ნისლებმა.

შავი და თეთრი არაგვი,

მთიებით ისევ ივსება...

შორს რომ მიღიან

ღრუბლები,

ნეტავ,

მონებენ ვის ნებას?!

1967



## ზღვა არის კაცის ცხოვრება

აღარ აშინებს მთიულ კაცს,  
 ცხენის ჭიხვინი ლეკისა.  
 და არც ლავდავი ქისტების –  
 ძაღლის და  
 ძაღლის ლეკვისა.  
 მიტომ დღეს,  
 ღულის ჭალაში,  
 ხორბალსა მკის და...  
 ბზეს ყრისა.

1963



## ვშავლის ქალები

პოეტ ნინო უძილაურს

ადრე სხვა იყო მთის წესი –  
ღამის წყვდიდდში ნავლები,  
მიტომაც ბევრჯერ წამწარდათ!!!  
და ახლა –  
ფშავლის ქალები,  
აღარ წვებიან წაწალთან.

1978



## ჩაპრულო

ანგელოზები მდერიან,  
ქართული სული ბობოქრობს  
და ზეცას წვდება აისი,  
როცა კოსმოსში გაისმის  
ქართული –  
ტებილი სიმდერა.


1994



## ხვთის შვილები

მარტო იახსარი და,  
არა მარტო კოპალა?  
ხვთის შვილებში  
გვეგულვის,  
ვაჟაცა და ილიაც.  
რადგანაც ეს სამყაროც,  
ღმერთის გაჩენილია.

1968



## ქრისტეს ნათელი

ასეა, ჩვენი სიცოცხლე,  
მწუხარებით თუ  
სიმღერით,  
დღეები – დღეებს მისდევს...  
და ჩვენ სულში რომ  
იღვრება,  
ნათელი არის ქრისტეს.

1965



## სეფხაცია

გახსოვდეს მტერთა დავაში,  
რომ იყო მუდამ მშვიდი  
და სწორედ მაშინ გმართებს –  
ჰქუა...  
და სიბრძნე დიდი, –  
ორივეს გასარიდებლად,  
გქონდეს აზრი,  
ვით მშვილდი.

1989



\* \* \*

ასედაც არის ნათქვამი:

დიდი დოკლათის

პატრონი,

სულ მუდამ უმადურია.

და,

მე, რომ მკითხონ

ასეთ კაცს,

სოფლისა ჯობნის მურიძ.

1978



## არავერდია

უგზო-უკვლოდ მიპქრიან

დღეები –

ველურ თარეშით...

ტირიან...

და ხან მდერიან...

რა იქმნ...

წვალების გარეშე,

ცხოვნაებაც –

არაფერია!

1991



\* \* \*

შავ მთაზე –

თეთრი თოვლი თოვს...

სული წუხილით ივსება.

მაინც შეგვურებ მწვერვალებს,

ვმორჩილებ მთას და


ღვთის ნებას.

შეგვურებ მე ჩემს ჭალარას,

ვით სპეტაკ თოვლს

და ღირსებას.

2001



## შეგონება

ბრძენს უთქავმს:

აწონ –

დაწონე –

სიტყვა და ისე ბრძანე,

დღე –

არის კარგად ნათქბამი,

ცედად –

წყვდიადი დამე.

1998



\* \* \*

ଥିଏ ମନେତାରା ମନୋସ ପାଲନେବୁ,  
 ଶାଶ୍ଵତ ପାଲନେବା,  
 ଶାଶ୍ଵତ କେବେବୁ,  
 ଶାଶ୍ଵତ ଧର୍ମପାଲନେବା ଆହୁତି!  
 ତୁମ୍ଭା ମାନେବୁ,  
 ମାନେବୁ...  
 ମାନୁଷାମ ଯେ ଧୂମି ପାଲନେବୁ,  
 ଏହି ନିଜିବ,  
 ଏହିଏ କାଳିନେବୁ.

1974



\* \* \*

არაა დიდი ნუგეში,  
თუ მთებში ძერა გაწივის...  
კამარა შეკრეს  
არჩვებმა.  
ჩამოუქროლებს არწივი  
და...

ყვავ-ყორნების ბუდეში,  
ბუმბულიც აღარ დარჩება...

1991



## პოტონად აბაპრიალებ


წა...

განვედ ჩემგან ავსულო!  
სულ რომ ჩემს ირგვლივ  
ტრიალებ,

ხან სინათლეში დამხვდები,  
ხან სიბრელეში იალებ,

წა... თორემ დამის მოციქულს,  
კოცონად აგაბრიალებ,  
ან ურმის ბორბალს გაგაკრავ,  
უკუღმა დაგატრიალებ.

1989



## ავდარი მთავარი

ციდან ჩამოდის ღრუბელი

შავი და

საწვიმარია.

მთებმა ჩაკეტეს შავ კლდეთა,

დევთა ნაჭედი კარია,

გადააფარე ღვთის კალთა –

შენ სამწყოს –

წმინდა მარიამ!



## მზის ჩასვლა

დამის ფრთებით მოფრენილმა,  
თითქო მწუხარმა ცა –  
გათვალა.

ნისლში გაქრნენ მთის ძირები,  
და ვით გუშინ,  
მზე – ცხრათვალა,  
მღელვარ ზღვაში იძირება.

1991

## იხაროს შენია ზოსვება

სადაც არ ვიყო,  
ყოველთვის,  
გული სიამით მევსება,  
როს გავიგონებ მოხუცის –  
ტკბილ სიტყვას ნათქვამს  
ყრმათათვის:  
– იხაროს შენმა ფესვებმა.

1998



\* \* \*

ნუ შეგაშინებს წამიერ,  
 აბობოქრება –  
 დელვა ზღვის!  
 გენ გეშინოდეს –  
 მლიქვნელის,  
 ორპირის,  
 ფარისეველის,  
 მსგავსის ტურა და მელასი.

1978



## სიყვარული

ვით ამბობენ,  
სიყვარული,  
ერთი ციცქნა ჩიტია.  
მაგრამ მაინც ქვეყანაზე,  
რა ქნას ვერ დაეტია.  
მტანჯველი და  
მტანჯავია,  
მაინც მისქენ იღიტვიან.

1968



\* \* \*

ზოგჯერ კი ასეც მომხდარა, —  
 შარად ქცეულა  
 გზა-წვრილი.  
 მაგრამ კი ესე ნათქვამი,  
 ძველია,  
 განა ახალი,  
 რომ ნაბუდარზე არწივის,  
 ყვავი —  
 ვერ გაზრდის ბახალას.

1988



\* \* \*

ზეცაა —

უფლის სამეფო,  
ყველგან კიდითი-კიდე!  
მას ვერ იხილავს ვერავინ.  
ხნავდეს,  
თქსავდეს,  
თუ მკიდეს.  
რადგან სახეზე ბურავს —  
ნისლი,  
და მოვარის რიდე.

1979



## ଶାଶ୍ଵତ ଧା ସାତାଙ୍କୀ

ଅରତାଗ୍ରେ ପାଦ କ୍ଷେତ୍ରନିରାଜ  
 ମାଗ୍ରାମ ଲମ୍ବରତା  
 ପ୍ରାଣ ଲମ୍ବରତା,  
 ଏହା ପରାଗ ପରା ପରା ଶେଷି,  
 ବୋରାପୁରୀ ସେଷି  
 ଅଧିକା,  
 ଏହା ପାଦମାଗଦା ମିଥିକା,  
 ଆମାରପୁରୀରେ ଶାରିବା.

1974



## როგორც პილატე

ილოცე ღმერთზე

და აუნთე სანთელი უფალს,

ნუდარ ივლი ბნელში

ბანი-ბან.

საკუთრ რწმენას –

ნე უდალატებ!

იყავ მართალი!

ხელს ნე დაიბან,

სულ ჰარი-ჰარად, როგორც პილატე!

1991



## წონა

ძველ ლურსმანზე დაკიდული,  
 მსაყვედურობს მამის ჩოხა,  
 მოსწოლია —  
     გულ-ნაღველი:  
 — ყველაფერი დარჩა ოხრად,  
 რაც სახლიდან —  
     შენ წახვედი.  
 და ჩოხიდან მესმის ოხვრა:  
 მივიწყებულ ქამარ-ხანჯლის  
     და ცხენებზე ამხედრებულ —  
 იარაღში ჩამსხდარ კოლხთა.

1965



\* \* \*

კეთილად რეკვა ზარების,  
კაცის გულს მუდამ უხარის...  
და არა მაუწყებელი:  
რისხვის,  
ნგრევის და  
სიაფის.  
ზამთარში – თბილი ბუხარი,  
ზაფხულში –  
გრილი ნიაფი.

1968



## პერძი სატანის

ფარისეველთ და

ქვეგამხდვარებს,

ქვეყნად არავინ აღარ ენდობათ!

ო, რა ძნელია მათი ატანა!

უნდა შესთხოვონ უფლას

შენდობა,

რომ აღარ გახდნენ –

კერძი სატანის.

1989



## ჩარგლულა და ღულის ჭალა

მაღალ მთათა სიყვარულით,  
ალბათ მაგრად განიმსჭვალა,  
რომ მთებს წამით  
აღარ ტოვებს,  
იქ – თერგი და  
აქ – არაგვი,  
ჩარგლულა და ღულის  
ჭალა.

1966



## ზშაგ-ხევსურეთში

წარსულისკენ მიმავალ,  
 აქ საცალფესო ბილიკებს –  
 წარმართი ღმერთი –  
 ოდი შლის.  
 ჩანს მტერთა ანაოხრები –  
 სოფლები...  
 ვხედავ ოდიშვილს\*,  
 შთამომავალს ძველ კოლხების.

1966

---


\* ფშავ-ხევსურეთში ხშირია გვარები: ოდიშვილიძე, ოდიშვილი, ეგრისელაშვილი და სხვ. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოდესლაც აქ მათი საცხოვრის უნდა ყოფილიყო (პ. კ.)



## ზჟავში

ვით ფაზისმა და ხობოსმა,  
თეთრმა და შავმა არაგვება,  
გამომაცილეს დავითა.  
და საცალეხო ბილიკით,  
ვით დიდი ვაჟა ხურჯინით,  
მეც ჩამოვედი ფშავიდან.

1961



## ၅၃ ქნას სიცოცხლე

ადამიანის ცხოვრება კი  
ასე ყოფილა:  
ყოფნას,  
არყოფნა დასდევს  
ფეხდაფეხ  
და აცლის მიწას!  
რა ქნას სიცოცხლემ,  
დღე-ნიადაგ  
თავისთავს იცავს.

1963



## ღიაბი გაუს აჩვენა

„... და ძროხებივით ძრებითა“.

გაუს-ფშაველა

ბევრნი არარას ფიქრობენ –

სხვათათვის დღით და

ღამითა!

თავიანთ მუცლებს ბერავენ –

ზედმეტი სმით და

ჭამითა.

მარხავენ დღეებს უცოდველო,

ცოდვის ქვიშით და

შლამითა!

ნეტავი წამოაყენა,

გაუს აჩვენა

წამითა.

1963



## ღ უ დ ლ ე ბ ი

ფშავ-სევსურეთის ტაძრები,  
 ციხეები და  
 კოშკები,  
 თურმე ერთიან დარაგვეს...  
 მერე „მზის ყანას“ –  
 გორისთვის,  
 „ფუნდუკი“ დაურქმევიათ,  
 ველიდან მოსულ  
 არაბებს.

1966



## 0სეპ ოშეილი

ცხოვრება სავსეა

ნარ-ეკალით,

არ მიშვებს ნათელ ში ვიარო,

ბევრჯერ სურდა,

რომ მოვეკალი,

მახვევდა არყოფნის სვიარებს,

გადავრჩი!

და დღემდი მოვედი,

მაგრამ სული ვერ ირჩენს

იარებს.

1975



## მორჩილი

ქრისტეს რწმენისთვის

დამისმთეველი,

ბევრია განა!

ერთი და ორი.

და ძემ ადამის, სხვა რა ინატროს?!

მორჩილი მუდამ დგას –

მრევლთა შორის,

ხოლო ლოცვებით –

ცაში ბინადრობს.

1964



## პებასი

ცისკენ მქროლავმა პეგასმა,  
ქარის ფრთები თუ გაშალა,  
აღარ ეყოფა ხმელეთის,  
ბილიკები და  
გზა – შარა...  
თუ თავის დროზე მხედარმა  
არ დაუჭირა ავშარა.

1970



## 60ლოსი და ამაზონი

ჩემი მტკვარი და

რიონი,

ფიქრითა და წყალ-სიუხვით,

ავწონ,

დაგწონე და

აგზომე,

თითქმის ტოლი გამოვიდა –

ნილოსის და ამაზონის.

1970



## სიკეთე და გოროფება

რაც თავი ახსოვს საწუთოს,  
აღარ ყოფილა  
აროდეს:  
რომ ნასახლარზე სიკეთის,  
ბოროტება  
რომ ხარობდეს!

1989



## შთაო მხედარი

სამშობლოს მცველთა –

შეხედეთ ლაშქარს,

რომ აბარია „უთაო მხედარს“,

შენ გეკითხები –

მამაო ღმერთო!

ამ საოცრებას,

ნუთუ ვერ ხედავ?!  
2020

## მრთი პიმპი

ფილოსოფოსნი ბუნების –

წიგნს უწოდებენ სიბრძნის!

სად,

ქვეყნად არსნი ყოველი,

სიცოცხლისათვის იბრძვის...

ყოვლის მტკრად ქცევას ყოფნის,

მიწის...

სულ ერთი ბიძგი!!!

2019



## ოფენა

გზას გაგინათებს –

მზეცა და მოვარეც,

თუკი სამყაროს ერთვი!

ადამიანო! –

სამოთხის კარებს,

მაშინ გაგიღებს

ღმერთი.

2005



## ბიბლიაში არ სწორია

სული ლოცვით ცაში ადის  
და მიჰყება მას მღოცველთა  
კედრება და  
ხვაშიადი.

ცა მთიებით დაცხრილული,  
უამთა ქარით –  
ნარწევია...

დვთის მგმობელის –  
ცხონება კი  
ბიბლიაში არ სწერია.

1979



## შვაბის დეპა და ლიანი

მთა ვითარც ვაჟას  
მეც მიყვარს,  
იცის დღეები მზიანი...  
ფერდობზე გაზაფხულისას,  
ყვავის დეპა და  
ლვიანი.  
ბილიკზე, ვითა წაწალი,  
ჩამოგიქროლებს ნიავი.

1965



## სამოთხის კარი

თუნდ დედამიწა მორწყან  
ცრემლებით  
და ვედრებებით კალთა აივსონ...  
თუ რწმენის გზებით –  
აღარ ივლიან,  
ურწყნოთათვის –  
სამარადისოდ,  
სამოთხის კარი დაკატილია!!!

1963



## მპიტაგველო

პოეტის აზრებს,  
პოეტის ფიქრებს,  
მერე მის შედეგს,  
გერვინ ჩაწვდება სულიერი,  
მკითხველო –  
შესდექ!

1993



## ცეცხლი

ცეცხლი სწვავს...

ცეცხლი ამთელებს,

ის არს იმედი ღარიბთა...

დასაბამიდან გულებში –

ცეცხლი გვინთია

ქართველებს,

რადგან მოდგმა ვართ ხალიბთა.

1989



## შუაროს ფილოსოფია

კამპამა წყარომ იდინა,  
მერე ადგილი  
იცვალა!  
ეგონა მთათა ნაშიერს,  
რომ დარჩებოდა მზის ცალად.  
მაგრამ მოტყუდა ბეწავი,  
ხევისას აბა, ვით ედინა?!  
თავისის უარმყოფელმა,  
სხვაგან ვერ გაიმერდინა.

1969



## სული

სული მაინც სპეტაკია,  
ბედი ცდიდა,  
თუ არ ცდიდა.

ის ცისაა ბინადარი,  
დიდია თუ  
ერთი ციდა.

სული მაინც,  
სული არის,  
მუდამ იყურება ციდან.

1998



## ორნი

უსახელო კი,

უსახელოდ გაუყვა შარას,

სახელისათვის ვინც იბრძოდა

წავიდა ისიც.

ახლა ორივეს თანაბრად ფარავს –

დავიწყების დამე და

ნისლი.

1978



## მონასტერი

მაცხოვრის უარმყოფელი,  
თვით უფლის – მონას

მტერია.


ჯოჯობეგთია –

სოფელი,

სამოთხე –

მონასტერია!

1965



## ლოდინი

ბუმბერაზი გაჟას მთები,  
ჩემს სტუმრობას  
ელის ოხვრით,  
და ოცნებას ზღვარი არ აქვს.  
ჩემი ფიქრი,  
გითა კოლხის,  
არ შორდება —  
გმირას და  
არაგვს.

1962



\* \* \*

ახლა გფიქრობ:

ჩემს შემდეგ...

ჩემი სახლის აივნის –

წინ, რამდენი ქართველი

ჩაივლის...

და აივლის?!

2020



## ზღვაო

გეევარებოდა მშვიდი ცხოვრება,  
ქარები ნერვებს,  
რომ არ გიშლიდნენ.  
სიჩუმე – შენგან მე მაქვს ნასწავლი.  
ზღვაო,  
ეგ შენი დიდი  
სიმშვიდე,  
დიდ,  
ცუდ რამეს ხომ  
არ მოასწავებს?!



## გარსპოლაგების ოქროს იატაკი

უცებ მოვიდა ელვის ბილიკით  
და შენზე ფიქრი  
ამეკვიატა.

მერე დღეები გადაიხიდა...

მე,

სადღაც ცაში  
გცხოვობ  
იქიდან,

დავცერი ლამის –

გარსპოლაგებით ნაგებ  
იატაკს.

1973



## პოლიტიკი ცა

ცის დაბადების

დრო და ადგილი

კოლხეთია და...

ის ხმას არ იღებს!!!

რბიან დღეები უამური

და უმეცარი.

შენ კი კითხულობ, როგორც მენცარი\*,

გარსკვლავებით ნაწერ

თარიღებს.

2019

---

\* მენცარი – მისანი, წინასწარმეტველი.



\* \* \*

მზე დასავლეთით მიბუღრაობდა,

ქედდადრეკილი,

ვით ხარი ჯონქა,

რომელსაც სიცხით ეწოდა

ლაში.

ზღვა კი,

ვით მეფე ურიცხვი

ლაშქრით,

მოადგა ნაპირს და...

დაუჩიქა.

1962



## ბარლეზნამდელი ხუთი ქალაქი

ჯერ წარდგნაზე ფიქრიც  
არჩანს,  
ბჭობა,  
არც ლაპარაკი,  
და ყვავილობს ევფრატის პირს –  
შუმერთ ხუთი ქალაქი:  
შურუვაქი,  
ერიდუ და  
ბათიბირა,  
სიფარი და  
ლარაქი.

1959



## ცნობადის ხე

ცნობადის ხის ნაყოფი  
კაცმა უნდა გასინჯო,  
სანამ შენთან მოვა – „ის“.  
მერე გვიან იქნება,  
სინანული „მოვალის“.  
სწორედაც ეს  
ტანჯავდათ –  
პოლ ვალერს და ნოვალისს.

1964



\* \* \*

გონი,

ჭკუას აქ ილესავს,

რომ ბრძოლებში –

გაიმარჯვოს,

ისე, როგორც აქილევსმა.

1966



## 60შ0

სხვა არაფერმა!

სიძულვილმა!

შურმა!

მტრობამ!

ბოდმამ და იჭვმა!

ადამის მოდგმა ჯვარს აცვა

და...

დაღუპა ნიჭმა!!!

1989



## ଶଶ୍ଵତ

ଶେନ ସୁରଗୀଲୋ ଧର୍ବାନ୍ଧାଗଦା –  
ଘୋଷ ମିଥିଙ୍କା –  
ବାମଦୟ ଅମ୍ବଗ୍ରେହାନା!  
„ଓ, ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଧିଦତ ମତାତ!“ –  
କର୍ମମିଶ୍ରତ କ୍ଷେତ୍ରାଜା!

1979



\* \* \*

ზღვა, რომ ზღვაა,

მისი გულიც

ადის,

ჩადის...

ადამის ძეც,

თუკი ზოგჯერ

„იღრინება“,

ის აჯავრებს თავისთავში მცხოვრებ –

მხეცს... და

ტყიურ ნადირს!

1987



## ჯორდანო პრუნო, გალილეი

მიწა ბრუნავსო...

ჭორ-მართალი

არ ილევა...

არაჩანს ბრუნო...

არც გალილეი!

რაღა ქნან სხვებმა!

არ იციან უვიცებმა,

რომ მთელი დამე

მთვარე აყურადებს –

მზის ფეხისხმას და...

ვარსკვლავების გულისცემას.

1967



## შამაში

გასვლა გაღმა ნაპირისკენ,  
ნუ გონია  
ზოგს თამაში.  
მას ხიფათი ბევრი ახლავს,  
მაგრამ ვიცი,  
ვით შამაში\*,  
„სიკვდილის წყლებს“  
გადალახავ.

1962

---

\* შამაში – მზის დმერთი აქადურ მითილოგიასა და რელიგიაში



## აიგთის პოლემი

წარსულიდან კვლავ მოვლენ  
მისნები...  
ერთად ახდენილ ყველა ოცნებას,  
და აუხდენელ –  
სულ სხვა ოცნებებს:  
იყო კოლხეთი, ვით საოცრება,  
ათასწლეულებს –  
დაიმოწმებენ.

1962



## რაბი

ბიბლიიდან ისმის აჯა:

- ბეთლემს ნუდარ წახვალ  
რაბი!
- მე ვასრულებ უფლის ნებას,  
კით ხელმწიფე  
ხამურაბი.


1963



## მოზაფი მთვარე

დილას ყივილით ხმობდნენ  
მამლები...  
და ჭრიალებდა აღსავლის კარი,  
სადაც სიმშვიდეს –  
დღე ეძიებდა...  
დამე უსმენდა მოხუცი მთვარის  
უხმო სიმღერას  
და ურიამულს უშქარ  
მთიებთა.

1968



## დუმში და ინანა

სიყვარული —

სასახლე,

არის უსახლ-კარონის,

(ვინც ტანჯვა არ ინანა.)

ვინ დე გრიე, მანონი!

ცას და მიწას არ ახსოვს,

სიყვარული ისეთი,

ვით დუმუშ<sup>1</sup> და ინანას<sup>2</sup>.

1960

---

<sup>1</sup> დუმუში (შუბ) — „ჭეშმარიტი ძე“, მოკვდავი მწყემსი.

<sup>2</sup> ინანა — შუმერული ქალღვთაება.



## მთვარის სამარე

გადაუქროლებ ათასწლეულებს...  
და არწივივით შეკრავ  
კამარას

იქ –  
ამირანი სადაც დაება.  
შენ,  
ალბათ მოვარე გიჩანს  
სამარედ,

მაგრამ,  
მწამს იხიც გეცოტავება.

2020



## იყო

იყო ურიც და ურუქიც...  
იყო ქალაქი,  
იყო ციხე...  
იყო, ო, იყო...  
და, აი, ახლა, ათასწლეულების მერე,  
მოკლულ ციხეებს და  
გარდაცვლილ თარიღებს,  
მივსდევთ და მივსტირით...  
მაგრამ შენს ციხეს ნაგებს  
ქართულ სიტყვის ქვიზებით  
ქვეყნად ვერავინ  
ვერასოდეს ვედარ აიღებს!

1967

## მთები

რისთვის და რატომ,  
 არ უწყიან ამის  
 მოტივი.  
 და, ვით ანისში გვირგვინოსნები,  
 კვლავ წვანან მთები –  
 ბილიკებით  
 გაშოლტილნი.

1963



ნერგალი

სადღაც დამის წყვდიადში  
 და ქვესკნელთა –  
 ქვესკნელში,  
 რომ იელვა ეგ არი! –  
 მთელი მკვდართა  
 სამეფოს –  
 დმერთა-დმერთი ნერგალი. (შუბ.)


1968



## ლოდი

მთას ფერდობი ხელში ეპყრა  
აქილევსის ფარად.  
ქარი ღრუბლებს  
მილალავდა, ვითარცა ცხვრის  
ფარას.  
სიჩუმეში უცაბედად დაძახილზე მეხის  
შეეშინდა და კლდეს მოსკდა  
ლოდი და...  
გზა ჩაირბინა  
თაგქევ კისრისტებით.

1959



## ნამთარი

მუდამ დაგვდევს ფეხდაფეხს,  
ძველი – ნაყივჩაღარი  
და თვალთვალს არ ამთავრებს –  
შემოსილი ჭაღარით.  
ბედისწერის დემონი –  
ენლილის ძე –  
ნამთარი.

1973



## ჩემი მკითხაჭია

დავტოვე ბალი და სავენახე!  
მოვლე ჩინეთი და  
ინდოეთი!

თქვენ მომენატრეთ! და...  
რომ მენახეთ,  
სტუმრად კი არა,  
სამარადისოდ.  
დებო და ძმებო\*,  
თქვენთან მოვედი.

2020

---

\* ვაჟა გგრისელი მეცხრე იყო. შვიდი ძმა და ორი და.



26, 27, 37

მოვიდნენ...

წავიდნენ...

მათი სახელები ქვეყანას მოედო!

ლადო – 26,

ტატო – 27,

ტერენტი – 37.

შენ კი სამოცს გადააბიჯე,

ნუთუ არ დაიდალე

სიცოცხლით პოეტ?!

2001



## ოლიმპია

ოლიმპოს მთაზე –

დიდმა ზევსმა ბრძანა შეკრება,  
მყის შეიკრიბა ყველა ღმერთი,  
ყველა ქალღმერთი.

ჩამონათვალი წაიკითხა თვითონვე ზევსმა,  
და თქვა მეუფემ: აკლიაო აქ ღმერთი ერთი,  
მას მოკრძალებით მოახსენეს:  
აბა, რას ბრძანებო,  
აქა ვართ ყველა, პანთეონი არის აქ მთელი,  
განრიცხედა იგი,  
დაიქუხა მან გულისწყრომით:  
– კრებას არ ვიწყებ! –  
ეგრისიდან ეგრისელს ველი!

2002



\*\*\*

"კოლხების დამწერლობა უნდა ჰქონოდა"

პეროვიტე

პონტოსა და ფაზის პირ,

რაც ვიხილე მშობლიური

ცა მრგვალი.

მე, მას შემდეგ,

სანთლით ვეძებ ბიბლიამდელ –

კოლხურ წიგნებს:

"ოქროს საწმისს",

"ოშვას",

"გაბუს"-ა და

"მარგალითს" ..

1963



\*\*\*

შენ,

პოეტო!

მუდამ უნდა ისმენდე, –

ქართულ ვაშას,

ფრანგულ –

აპლოდისმენტებს.

2014



## პროანისის გელი

"ჰეი, თქვენ, არაგველებო!"  
ლადო ასათიანი

სალკლდისგან ნაშენებ სხეულში,  
ძალა ჩასდგომიათ  
ზევსური,  
და მტერს გეფხვურად კვეთებიათ.  
გელზე რომ პყვავიან –  
ყაყაჩოები,  
სამასი არაგველი ხევსურის  
დაღვრილი სისხლის  
წვეთებია.

1966



\*\*\*

ვითარცა ეს ცა და ეს მიწა,  
მზეც და მოვარეც ხომ  
ერთულობის მისხია.  
და ღამები ფიქრებმა უთიეს.  
ცხოვრება —  
ცრემლი და სისხლია,  
სამყარო —  
პანდორას ყუთია.

2009



\*\*\*

ღელვა ათასწლეულთა –  
ათოვდა და  
აწვიმდა...  
და მტკქრის ოხვრა ისევ ესმის  
მუდმივი...  
თბილისს თავზე მთაწმინდა –  
ისევ ხურავს –  
რუსთაველის ქუდივით.

1962



## შემოდგომას პილივერს

ჩამავალი მზის სხივებს  
 მკერდზე ოქროდ მიიფენს,  
 ზუ-ცა ოქროს გერბიანს,  
 შემოდგომას –  
 ბიისფერს,  
 შემოდგომის – ფერ ბიას.

1961



\*\*\*

მოჰყვება ნიავს და

არავის\*,

და ყოფნის ედემ-ბაღს,

სანამდის არ გვიქცევს

ეწერად,

მანამდე არ იცის არავინ,

არყოფნა

თუ როდის გვეწვევა.

2013

\* არავი – სამხრეთის ქარი



## თბილისო

ასე კარგი და ლამაზი,  
გტკვრის ქარქაშში  
სანამ გმალო?!

აგალ მთაზე,  
მთაწმინდაზე,  
ხელებს გავშლი –  
ჯვრად ვიქცევი,  
თბილისო,  
რომ არ გაგთვალონ!

1979



## რუსთაველი

ქუხილის გზებით მოვიდა ციდან  
და ღმერთმა მისცა  
ბალახის ძალა,  
გაუხუნარი სიმწვანე მოლის.  
მარტოდ-მარტოა,  
არა პყავს ცალი,  
რვაასი წელი ვერ ჰპოვა ტოლი.

1966



## მურადეგი სიღნავ

ტაძარში მწუხერის ისმის გალობა,  
და მიბნედიათ მტრედებს  
თოლები,  
მარადის მშვიდებს,  
მშვიდბუნებიანთ,  
ისინი ლოცვებს ხმას აყოლებენ,  
ბანს აძლევენ და  
ელუდუნებიან.

2000



## ოთხთავი

მწვანედ გააქვთ ბიბინი,  
რწმენის ხნულ ში დათესილ –  
სახარებას ღვთის ძეზე,  
ღვთის კარნახით დაწერილ –  
იოანეს,  
ლუკასი,  
მარკოზის და მათესი.

1968



\*\*\*

არავითარი ბუსნო და ბელტი,  
მყარი, ვით ძელქვა  
და აპაცია –  
ადამის მოდგმა განგებამ შობა,  
ვით ნათლის სვეტი,  
მერე ხელები გააშლევინა  
და ჯვრად აქცია.

1980



\*\*\*

ათას კი არა,  
მე ერთს ვინატრებ:  
ფარსადანივით ნუ მიღალატებ!  
ხელს ნუ დაიბან,  
როგორც პილატე!  
ძე,  
შენ მიყვარხარ!

2008



## გათხვება

ცად ღრუბლები შრიალებენ –  
 ელვით გასანასკვავები,  
 მობრძანდება მზე აღსავლით,  
 ნაფეხურებს ასდის ალი,  
 გზად სინათლის ქუდს  
 უხდიან,  
 ჯარად მდგარი ვარსკვლავები.

1969



## მთები და ზღვები

მთებსა და ზღვებს გაჩენიდან –  
გმირ-რაინდთა სდევდათ  
მზერა,  
როგორც გამარჯვების გაშა.  
მთები – იყო დიდი ვაჟას,  
ზღვაა –  
ჩემი ბედისწერა.

2001



\*\*\*

მიიღოიკება როდესაც

დასავლით –

მზე საღამოსი.

დარეპს "კოლხური ზარები"...

შენ,

მორთულს –

ახალ სამოსით,

სადღაც,

შორს გაგამგზავრებენ...

2015



## ოდაბადე

კვლავ მოგელის ხობისწყალი,  
სადაც გაგიშლია ბადე!  
და უმხელდი პარას ჭალას,  
ჩუმ ოცნებებს გულში ნადებს...  
"სქანი ჯგირი შურობუმუ<sup>1</sup>,  
"სქანი სქვამი ოდაბადე<sup>2</sup>".

1958

1,2 – შენი კარგი და ლამაზი დაბადების ადგილი (მეგრ.)



\*\*\*

სიხარულის ხის ისმის შრიალი,

შოორს –

შამბალაა და ანდები.

აქ კი, დღე არის ქარიანი.

და ფიქრის ცაზე –

გელანდება –

"სულ მცირე დოუბელი"-

მარიამი.

1979



\*\*\*

კოლხეთი – ბიბლიაა,  
აბა რაა...

ლეგენდებს კბილები  
ამოსვლიათ.

შენი "კოლხური ფსალმუნები"  
"კაბალად\*" –  
ქართულის ცეცხლის სამოსია.

1991

\*კაბალა – მეცნიერთა ენციკლოპედია



\*\*\*

არსაიდან მოხველი –  
შენი თავისუფალი  
და არავის ემონქ!  
შესძელ მიწის ოცნების  
მეცხრე ცაში ატანა.  
მძვინვარ ზღვაზე გამსვლელი  
ხარ პოეტი –  
დემონი,  
ეშმაკიც და სატანაც.

1975



## შრომულობი

თუნდ დედამიწა მორწყან ცრემლებით  
და ვედრებითაც კალთა  
აიგხონ....

თუ რწმენის გზებით ადარ ივლიან,  
ურწმუნოთათვის –  
სამარადისოდ,  
სამოთხის კარი დაკეტილია.

1967



## ლრპგლები

დღეები ცივი და უსახური,  
 გადაიფრენენ ზეცას გედებად,  
 და შენ როს წახვალ უცოდვილი,  
 როგორც კირიბი<sup>1</sup>,  
 მაშინ, დრუბლები, ისე როგორც  
 მეგრი დედები,  
 მოვლენ პირ-სახე დახოკილი  
 ელვის ფრჩხილები  
 და ცხარე ცრემლით დაგიტირებენ...

2018

---

<sup>1</sup> კირიბი (მეგრ.) – ბატბანი.

\*\*\*

დასაბამიდან ასეა:

რაც თავი ახსოვს საწუთოს,  
ადარ ყოფილა აროდეს,  
რომ ნასახლარზე სიკეთის,  
ბოროტება რომ ხარობდეს!

1968



## არჩევანი

დაბის

შენი ნაშირი გერჩიოს,  
სხვის ბაჯაღლო ოქროს,  
შვილო!  
რადგან ღმერთი გყავს მოწყალედ,  
გიჯობს შენი ხობისწყალი,  
ვოლგას,  
მისისიპს და  
ნილოსს.

1978



## მოტაცება

მოულოდნელი შეკივლება!...  
ცხენთა თქარუნი...  
ხობისწყლის თხვრა...  
ჭალა გაშლილი....  
მერე შავი ტყე...  
ხორგა,  
დარჩელი.  
ო, ასე თურმე გლეხკაც მამას  
გაუტაცია –  
„კნიაზის“ ცირა – დედაჩემი,  
რომელსაც მერე პყავდა  
ცხრაშვილი.<sup>1</sup>

195

<sup>1</sup> ვაჟა ეგრისელი – მეცხრეა, შვიდი ძმა და ორდა.

## ზანტელები

კოლხური ციდან რომ დაგვცელის,  
მთვარის ღვთაება ოდია.  
და ეს ფანტელები –  
ფარფატა ანგელოზები  
დედამიწაზე ედემ-ბალის სანახავად  
ჩამოდიან.

1959



## პოეტის ახილება

გამთენისას უნი მოუგლის –  
დაცამლეწველი,  
ყოვლის ამკლები:  
– ცაში მთლემარე ვარსკვლავები  
უნდა აყაროს!  
ქვით ჩაუმსხვრიოს მთვარეს სარკმელი  
და მტვრად აქციოს  
უმზეო ცის ბნელი  
სამყარო!

1960



## მტკვარი

/გარიანტი/

მახათას მხრიდან ჩამოსულ ნიავს,

რეკვის ხმა მოუაქვს

სიონის ზარის.

ნარიყალას ციხეს გასქერის

გორგასალი.


ორთაჭალაში,

მეტეხთან მტკვარი,

თბილისს კვლავ უჭირავს

გორდასავით.

1961



## ციცინათება – სულია ადამის

ღიად დარჩენია საღამოს კარები  
და სანამ ბნელა და  
სანამ ინათებს,  
ის ციცინათება –  
სული ადამის,  
აქ – ჯოჯოხეთურ ყოფით დაღლილი,  
იქ – სამოთხეში მოიპარება  
და წვეთ-წვეთად გზას  
ისინათლებს.

1956



## შეგრაცხავენ წმინდასად

შეელაფერი იცვლება,  
მაგრამ შენ საქართველოს  
მზის...  
სხვა არა გინდა რა!  
და... როს გარდაიცვლები,  
შეგრაცხავენ წმინდასად.

2018



## ხილვა: მნიშვნელობა

უცემ იქლვა...

გაკრთა წარსული...

მიწას დაამხო ცა

ლუქაიას ხმაშ:

— პატონიშ სკუა! — თამარს მეხვარი!<sup>1</sup>

გრგვინავს ენგური...

თარეშობს ქარი...

და ტალღების ისმის გოდება —

თარაშ ემხვარი!..

თარაშ ემხვარი!..

1958

---

<sup>1</sup> ბატონის შვილო! — თამარს უშველე



## ლმერთი და გიგლია

ვითარცა ძემ ადამის,  
მეტი რაღა ინატრო,  
რომ გიხმობენ –  
იღბლიანს!  
შენში ერთად ბინადრობს  
ლმერთიცა და  
ბიბლიაც.

1960



## ხილვა: სპარსთა ლაშქრობა

„გიაურთა“ დამსჯელი,  
ქართ-კახეთის მოსრავი,  
მოდის ურდო ურიცხვი...  
მაგრამ არ ჩანს ჰაფეზი<sup>1</sup>,  
აღარც ნიზამ განჯელი<sup>2</sup>,  
სანაი<sup>3</sup>,  
ანვარ<sup>4</sup>,  
ათარი<sup>5</sup>...  
და არც ნასერ ხოსრავი<sup>6</sup>.

1991

---

1,2,3,4,5,6 – სპარსელი პოეტები



## ცას მიადგი რწმენის პიგე

უნაყოფო ცხოვრების ხე,  
ქცეულიყო რომ გენახად,  
გზა განლიე დიდზე დიდი....  
და უფალი რომ გენახა,  
ცას მიადგი რწმენის კიბე..  
ზღვაზე –  
ლოცვის გადე ხიდი.

2018



## ენატური და ურანი

შენ კი არა,  
პოეტო!  
მზე რომ მზეა,  
თვით მზესაც,  
ბევრი ჰყავს მომდურავი:  
— მარსი,  
იუპიტერი,  
მერკური და ვენერა,  
ნეპტუნი და  
ურანი.

1969



## ქალღეგელები ლაშარში

ლოცვებით და  
მზითმოსილებს,  
ღვთიურებს და ღვთისმოშიშებს.  
რა გამოლევს მთაში ბერებს –  
ლაშარში ვჭვრეტ  
ფშავ-ხევსურებს –  
ქალღეგელთა –  
ნაშიერებს.

1976



## არმაზის პილინგვა

უამი უნდოა...

ყველაფერს,

დავიწყებისკენ მიხვეტავს...

ვერავინ უძლებს მის ცოცხებს,

მაგრამ შენ ბუზს ვერ

აგიფრენს,

,„ძევახოს! –

ჩემო სიცოცხლევ!“

2008



\*\*\*

თეთრი,

სიფრიფანა ნისლი,

მოუშვია მთას წვერივით.

შენ კი მისდევ გზას ეკლიანს...

ვეფხის ზოლზე დაწერილი,

სტრიქონი დირს ასი ოქრო,

შენის ფასი კაპიკია!

2018



## მეცნევა

ეტრუფოდი უფლის ანგელოზებს –  
მტრედებს და  
მერცხლებს!  
რადგანაც ციდან მოფრენილი  
იყავი მეცნე.

1953



პეტ!

დაჩუნჩხვილ შავებს ჩაიცვამს,  
ულურჯესი ცა კოლხეთის,  
როცა შენს სიკვდილს –  
იხილავს.

პეტ! –

რა ჩუმად მოხვედი!!!

და...

მოხვალ ჭექა-ჭეხილით...

2018



## გაგკასიის მთხვე

დე,

გაიგონ დიდმა მთებმა

და ქედებმა...

რა ვქნა მეტი...

გამბობ დაუფარავად:

რა ანდები!

რის ტიბეტი!

ქვეყანაზე არ პყავს ტოლი,

გაგკასიის მაღალ მთათა

ქარავანს.

1963



## ზღვა მწუხრისას მიმდევალა

სხივებს ათასფერად აჩენს,  
მზე,  
თითქოს და ფაკირია.  
ზღვა მწუხრისას მიმცვალა  
და ელგით ცა პირსიხოკს და  
თოლიები  
დაკიფიან...

1974



## გვირილა

გიგირს!

როგორ გამხდარა,  
მოუკუმავს პირი რად?!  
და დიდი ხნის უნახავს,  
სიხარულის –  
ყვირილით,  
რომ არ გვხვდება  
ყვირილა!

1991



დღესასის  
დამუშავების

ბნელეთს სერავენ –  
დამით მამლები,  
ყივილის გრძელი  
პროცესტორებით  
და მერე დილა გვიწვდის მზის ხელებს.  
დიდ სიახლეთა ველით  
არჩევანს...  
რაქნან დღეებმა,  
სიზმარეულ თვალებს  
გვიხელენ,  
დამეები კი გვიხუჭავენ...  
და ნელ-ნელა სიკვდილს  
გვაჩვევენ....

2019

## პახილი

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“

ესალმუხი (83)

კოლხთა შოორ წარსულიდან  
განწირული ხმა ისმის,  
წვიმაა თუ ქარია:  
ჩვენთვის ღმერთი უფალი  
ისევ –  
„მზე და ფარია“.

1960



## შიში

აღარცხაიდან მოხველ!!!

და მაინც,

რადგან იშვი!

ადამის მოდგმავ!

ფეხდაფეხ –

დაგდევს სივდილის შიში,

რომელსაც ფერი ადევს

მგლის,

ან

გაცრილი ქვიშის.

2019



## მთვარის უკანა მხარე

ელვა გაპროება უცებ  
და ცის იღება კარი:  
მოწყენილი და  
ქუფრი,  
პვლავ გამჩნდება უფრო,  
წინა კი არა,  
მთვარის,  
ციკი,  
უკანა მხარე.

2018



## ცის სასახლე

კლდეზე შემდგარ –  
ცის სასახლეს,  
მოვერცხლილს და  
მოოქროვილს,  
დღისით – მზის და  
დამით – მთვარის  
ადევს –  
ვევბერთელა  
ბოქლომი.

1962



## დაოსი და გურამიშვილი


ცოდნას ღებულობს იგი,  
გინც რომ სოფელთან  
დაობს

და არ ნებდა სიკვდილს,  
თავის ცოცხალი თავით,  
ისე,

ვით დიდი დაოს  
ან,

ვით გურამთ დავით.


2019



15

სიკვდილს,  
ქვეყნად ყოვლის მხილველს,  
დაპყარგია თვალს ჩინი,  
ომბალოსგან ქინძს ვერ  
არჩევს  
და პგონია დარიჩინი.  
თხუთმეტის ვარ...  
სიდან მაგდებს!!!  
და სიცოცხლეს მე მიჩივის!!!

1956



## შვილიანი ლამა

ადარ ბლავიან ჰელიოსის  
ცეცხლის ხარები,  
და არც ზვირთები პოსეიდონის.  
დადუმებულა მთა და მინდორი,  
მხოლოდ ღრუბლები  
დახარხარებენ...  
არა ჩანს მოვარის –  
ციხე-სიმაგრე  
და არც ვარსკვლავთა  
ნასახლარები.

1965



## სიმგარულით სერული

დღე ერთია,  
ათასჯერ,  
ჩემი დიდი კოლხეთის –  
ახლო არა, შოორეულ –  
ხუთიათასწლეულის  
ედემ-ბაღში ვბრუნდები,  
ნახვას –  
მონატრებული,  
სიყვარულით სნეული

2019



## ჩემი ხმა

გედარ დაუკარგავს შიში,  
მტერთან ბრძოლის  
იერს სტრიქონს,  
რადგან მთელი რწმენით ვენდე!  
და ჩემი ხმაც –  
ბოროტების  
დასცემს კედელს,  
ვით საყვირი იერიქონს.

1954



## თარაზული

მზეც და მთვარეც ცას ჰქიდია,  
სხივები აქვთ თარაზული  
და სიკვდილიც ძირს ჩამოდის.  
რომ სიცოცხლე თარაზულად  
ცხრაკლიტულში ჰყავდეს  
მუდამ ჩარაზული.

2013



## სქანი გოლგუაფირო

სამშობლოვ შენს სიყვარულს –  
უშქარს და  
უნაპიროს,  
გახვევ შარავანდედში,  
ვით იაგუნდს და ბიურილს,  
იასპს,  
ძოწს და  
საფირონს,  
ფეშქაშ!  
ჩემი სიცოცხლეც,  
„სქანი გოლგუაფირო“<sup>1</sup>.

1959

---

<sup>1</sup> შენ შემოგევლე – (მეგრ.)

## გათხოვა

წევარამ დამით მოსილ ნათელს,  
ბნელიდან რომ უხმობს მზეა,  
რბის აღსავლით...  
არვის ერჩის!  
არჩანს დილა...  
მამალი კი უზმოზეა,  
მიტომ ყივის –  
ხმა ჩახლეჩით.

1959



## საქართველოს

შენი უღმერთო წარსულით –  
ყმაწვილს ცრემლებს რომ  
მადენდი;

დღეს,  
გხედავ ბორკილ-დამსხვრეულს,  
„ლაშარის გორზე შემომდგარს“,  
და მოსილს შარავანდედით.

1991



## ზიღვა; პიეტის სასახლე

(გარიანტი)

რაც რომ მარადიულია,  
უამთა ბრუნვა ხელს ვერ ახლებს!  
ისევ დგანან  
ის მთები და  
ის ხედები!  
მიტომ ხედავ აიეტის –  
დიდ სასახლეს,  
სუთიათასი –  
წლის იქით რომ  
იხედები...

1962



## ნახვამდის

არ უნდა დიდი ფილოსოფია,

რა საჭიროა

დიდრო და კანტი.

ცხოვრება თვითონ გვასწავლის ილეთს.

იცის,

თუ როგორ

დაგვიდოს კვანტი,

და მერე გვიღებს სამგზავრო ბილეთს!!!

მერე... ნახვამდის!...

2019



## მთკბარი და მნიშვნი

აღმოსავლეთ –

დასავლეთით,

საქართველოს მიწაზე რომ

სიყვარულით ერთად მოდის,

ჩვენი ენგური და მტკვარი,

უხარია სვანს და

მეგრელს,

მესხეთში კი მესხს და ხერთვისს.

მაგრამ...

ორივ ცოცხალ-მკვდარი,

სულს აფრთხობს და მაშინ კვდება,

როცა კასპია და

შავ ზღვას ერთვის.

1970



## ათონები

ათონის ლურჯ მონასტერში –  
ათენებდნენ დამეს  
თეთრად,  
რომ ცოდნოდათ აწინდელებს,  
საქართველო ჰყავდათ დმერთად:  
იოანე და ექვთიმე  
და გიორგი  
მთაწმინდელებს.

2001



\* \* \*

მიწაზე არა,

ცაში ვარსკვლავებს

უკვირთ:

მძვინვარე ქარიშხლებისთვის

რაც გიომია და გაგიძლიათ

იმიტომ რომ, ხარ მზის

ნაშიერი,

მოხუცი მთვარეც შენი დგიძლია.

1989



## პიკარისები

არ ვხედავთ,  
მაგრამ იგი აქ არის,  
ვინაც სოფელი დაამწუხა  
და ააოხრა.

და... სასაფლაო დარდითა და  
ცრემლით ივსება.  
მიცვალებულთა სულის  
საოხად –  
სანთლად ანთია მწვანე შუქი  
კიპარისების.

1987



## მისომა ახლო მიხველ ღმერთთან

მთები გესაფეხურა და,  
მიტომ ახლო მიხველ  
ღმერთთან  
და ხატებიც გფარველობდა  
წმინდა ჯგუბეს და  
ლაშარის.  
სახელმა კი შენმა,  
გაჟა!  
ალბატროსის ფრთა გაშალა –  
გაციერდა,  
გალაშვარდდა.

1976

\* \* \*

რქებზე მზე დანთებულები,  
დღეები ნახირივით რომ  
მიბლავიან,  
არავინ იცის თუ ვისია!  
სიცოცხლე – თურმე  
დიმდამია,  
ცხოვრება – განთიადის ნისლია.

2002



\* \* \*

ხალიბების<sup>1</sup> ქურაში,  
 ვაწროთობდი ძველ სიმღერებს...  
 და მე ბევრი ვერიდგ:  
 სიზმარეულ ქიმერებს<sup>2</sup>,  
 მზიან ეფემერიდებს<sup>3</sup>.

1964

---

<sup>1</sup> ხალიბები – ძველი ქართველური ტომი.

<sup>2</sup> ქიმერა (ბერძ.) – ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული.

<sup>3</sup> ეფემერიდი (ბერძ.) – ერთდღიანი მწერი, (გადატანით, ხანმოკლე ეფემერული რამე)



## ცა – გარსკვლავების ქვიშის საათი

მთვარე წამითაც თვალს არ მოხუჭავს  
და ღია ცისქვეშ დამეს  
გაათევს,

გამოენიისას გარდაიცვლება.

ცა – გარსკვლავების ქვიშის  
საათი,

მამლის ყივილზე ნელნელა და ჩუმად  
იცლება.

2004



## ხილვა: უტურფურსი

კოლხეთში და დიაოცში –  
უტურფურსი\* ლომებრ  
ებრძვის  
ურარტუს და კიმირიელთ:  
ზღვა ხომალდებს  
წყალში ძირავს,  
მტრებს ზედიზედ იგერიებს.

1967

---

\* უტურფურსი – დიაოცის მეცნ (ჩვ.წ.აღ. IX-VIII ს.)



\* \* \*

უსამანო სივრცეებში –  
დავიწყების ბილიკებით  
დრო მალულად მიაქანებს:  
გაქვავებულ მთვარის ცხედარს  
და მთიების –  
თავის ქალებს.

1973



\* \* \*

ბიბლიიდან ხმა ისმის გოდების:  
ან ისაკია,  
ანდა აბრაამი.  
ღამის ბილიკით მიმოდის შიში,  
ღრუბლებს შუა მთვარის  
გამოჩნდა ნიში  
და ვარსკვლავებმა ცა დააბრმავეს.

1972



## თიბილ—ტაბულ—ტიბარები

ან მარეს და აიეტის  
ბიბლიური ნაშიერნი —  
დიდ კოლხეთის პატრონები,  
ვით ეგრისელს მიბარებენ,  
რომ წიგნებში დავასახლო:  
კოლხ<sup>1</sup>-კილხები<sup>2</sup>-მაკრონები,<sup>3</sup>  
თიბალ<sup>4</sup>-ტაბოლ<sup>5</sup>-ტიბარები.<sup>6</sup>

1961

---

<sup>123456</sup> უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



\* \* \*

ხელთ უჭირავს მოვარის წიგნი  
და იგი ევანგელობს –  
მის სულზე და  
მის მრწამსზე  
და მას ისე, ვით ანგელოზს  
ცალი ფეხი ზღვაში უდგას  
და მეორე მიწაზე.

1989



## დამშვიდება

მომესმის შენი ფრთების შრიალი,  
ჩემს სიახლოვეს ვიცი,  
არ იშლი  
და დიდ იმედად რადგან ციმციმებ, –  
თავს სიყვარულის მივდებ  
ბალიშზე,  
მშვიდად მივწვები და მივიძინებ.

2009



## ცა – გარსპოლავების არის საფლავი

გამთენისას მოვლენ დრუბლები,  
ვითარც მწუხარე  
ჭირისუფლები  
და როცა მთვარის კუბოს დაფლავენ,  
მაშინ შორს, სადღაც  
ელვა იკივლებს:  
ცა – გარსპოლავების არის საფლავი.

2003



\* \* \*

ბევრმა მძვინვარე ათასწლეულმა,  
ეგრისის ცაზე გადაიგრგვინა,  
მაგრამ მაინც ვერ გაატიალა.  
და აწ „კოლხური ფსალმუნები“,  
როგორც ტიარა,\*  
თავს დაედგმება ეგრისს გვირგვინად.

2009

---

\* ტიარა (ბერძნ.) – ძველ აღმოსავლეთში მეფეების და  
ქურუმების თავსაბურავი (როგორც მალაუფლების  
სიმბოლო)



## ଧୀରଜ ପାତ୍ରନାଥ

ଘମିରି ନୃତ୍ୟ,  
ମିଥ୍ୟମ ତାଙ୍ଗି,  
ଫିଲ ଆହୁରି ମିଳିମା.  
ଏବଂ କାର୍ଯ୍ୟକାରୀ ସାହିତ୍ୟରେ ଏବଂ  
ବରଦେବ ଜାଣି,  
କାନ୍ଦିଲର ବୈଜ୍ଞାନିକ ପାଠମା.

1972



\* \* \*

შემკრთალი ელვა დახტის  
პვიცივით,  
ვერ ჰქოვა გზები და  
ასპარეზი!  
ხოლო ღრუბელმა –  
იმ „ხულიგანმა“,  
ცასა და მიწას  
ერთად უგანა  
და დაიწერა ჯვარი მთვარეზე.

1967



\* \* \*

მებმა როდესაც გადაიგრგვინა,  
სივრცეებს ფერი ედო  
სატანის  
და ყოველივე ჰერთ ზმანებას.  
ღრუბლებს –  
ზღვის ცაში სურდათ ატანა,  
მაგრამ გრიგალმა არ  
დაანება.

1976



\* \* \*

სიშორის იქით,  
მიმწერიდან –  
განთიადამდე,  
მიმოყრილია ვარსკვლავების  
ცად მუგზალი,  
დიდით კი მათგან რჩება ნაცარი.  
დამე მზის ოქროს –  
დღეს კვლავ უგზავნის,  
მთვარე კი ცაში არის,  
არც არი.

1977



## ჩარგალში კოკალას შვასთან

ღამეა...

ვიღაც უფსკრულებს –

ყინჩად ჩასძახის: ამოდი!

ბაწარაულიც იალებს.

სივრცეებს შესძრავს ხმა ლოდის

ღა...

ბაყბაყ დევის ღრიალი.

1977



\* \* \*

ცა სულ ახლოა,  
ერთ დღის სავალზე,  
სოდანლუდად და მიჩანს ლოჭინად,  
სადაც სიცოცხლის სილამაზეა –  
მთვარის სარკმელი ჩანს  
გამოჭრილი,  
სადაც მიწას კი თავის გარშემო –  
მზე დააგორებს,  
როგორც ჭოჭინას.  
ცა სულ ახლოა,  
ერთ დღის სავალზე,  
სოდანლუდად და მიჩანს ლოჭინად.

2004



\* \* \*

ტალღებს კი არა,  
 პონტოს ნაპირთან,  
 ვანჯლრევ,  
 ვაღვიძებ,  
 საუკუნეებს –  
 მათი გულისთქმა რომ გავიაზრო,  
 იმ დროს კოლხეთში –  
 იცის არა ვარ,  
 და გულზეიადად მოდის იაზონ,  
 ოქროს საწმისის მოსაპარავად.

1964



\* \* \*

მოულოდნელად ჩამოდგა მწუხრი –  
ვარსკვლავების ზარით  
და ბუქით,  
ჩაიშრიალა სიცოცხლის ბალმა,  
ვიღაცა კივის:  
– დრო არის უპე  
შეუდგე აღმართს.

2004



\* \* \*

პატარა ღრუბელი უაზროდ,

შორს,

სადღაც —

წარსულად იურვის,

უჩარჩოდ ცაზე რომ ჰკიდია,

მთვარე დასული ყუაზე,

უცნობი მხატვრის ნახატია —

პრეისტორიული.


1979



\* \* \*

მოაქვს ქარიშხალს  
თეთრი ფიფქები,  
ვითარცა ზამთრის შემონათვალი,  
სიცივითად ცა შემინული,  
და უპეთია კუს ტბას სათვალე  
ყინულის,  
მაგრამ მაინც ვერაფერს ხედავს.

1967



\* \* \*

ლუდით და არყით გამტყვრალი მთები,  
მიუყვებიან ღამის ხეობებს,  
აბრეშუმივით შრიალა ნისლებს,  
და იქ, — არაგვთან,  
მთათა ღრეობას,  
მილეთი ისმენს.

1963



\* \* \*

ზღვა ბორგავს და კივის ქარი  
და აწუხებს ცას ეჭვები;  
რომ შელოცვით ახალ მოვარის  
არ ურჩება ლამაზ დამეს,  
ვარსკვლავების მეჭეჭები.

1963



\* \* \*

მწვერვალებს და კლდეებს დაშლის,  
მამლის პირველ ყივილამდე,  
ცამ,  
რაც ცრემლი დაღვარა,  
და... ერევა დამეს თმაში,  
გარსკვლავების ჭაღარა.

1967



\* \* \*

ჟამთა მძვინვარ ქარიშხალში,  
დღე ჭრიალებს,  
როგორც ანბა,  
მაგრამ ყოფნას მიადვილებს,  
უდალატო ჩემი დაძმა,  
ოცნება და  
სინამდვილე.

1987



\* \* \*

შენი გალობით განიკურნება –

მთვარე, სიყვითლით

ოდით სნეული

და...

მეოციდან შენი სახელი,

საუკუნეთა გადაძახილით,

გაჰყვება მძვინვარ ათასწლეულებს.

2001



\* \* \*

დიდ სიყვარულში,  
დიდ წარღვნას სძინავს,  
გთხოვ,  
გევედრები,  
ნურასოდეს გამოაღვიძებ.

1998



## ხილვა: პრბონაპტები

ერთმა ტალღამ პონტოს ნაპირს,  
მოაბდავლა —  
ოქროს ვერძად  
და შორეულ მიმცა წარსულს, —  
სად კოლხეთი პგავდა მემავს,  
მიტოვებულს და გაძარცულს.

1964



\* \* \*

ცივგომბორიდან ნიავს მოჟქონდა  
და ალაზანზე იღვრებოდა პანგი –  
კახური,  
მერე ცამ როცა,  
ვით ილიას შუბლმა ინათა,  
მეხმა ფეხი კვლავ დაუბრახუნა,  
შეეშინდა და...  
ელვა წამსვე გაუჩინარდა.

1988



\* \* \*

მკერდგაღელილი ფაფანაკებით,  
 დგანან ღრუბლების  
     თეთრი ქედები,  
 და ვარსკვლავები სივრცეს მარჯნიან,  
 პირმშვენიერი —  
     ქალწულივით  
         ცა იხედება,  
 დღისით-მზის,  
     დამით —  
         მოვარის ფანჯრიდან.

1964



## ხილვა: გელათთან

წამს,

მხედარმა წარსულიდან –  
რაში მეფურ დარახტული –  
გულის ხეთქვით მოაგელვა  
და შეხედა ბებერ გელათს  
და ჩვენება უცებ გაქრა,  
ო, ვინ იყო?–  
დავით?!  
ბაგრატ?!

1983



\* \* \*

ეჭა, რამდენი წელი გავიდა,  
როგორც დუმილი სასაფლაოსი,  
მეფობს წყვდიადი გულშემზარავი:  
არის მკვლელობა,  
არის ქაოსი  
და გამკითხავი არ ჩანს არავინ.

1993



\* \* \*

თავმომწონედ არ ყივის მამალი,  
ნასახლარებზე ბიბინებს ხავსი,  
მტკივა სოფელი  
და ვიგინები,  
მიტოვებული ქოხების მსგავსად,  
ჩალის და თივის –  
დგანან ზვინები.

1992



\* \* \*

მზე კი არა,  
მირიადი,  
სული თეთრად ანანთები,  
ღამეს –  
შავად ებურვის,  
მიწა-მკვდრებით,  
არის დასახლებული.

1964



\* \* \*

ქართული სიტყვის ბასრი მახვილით,  
ბობოქარ ჟამთან ბევრი იომე,  
ბევრჯერ გაგიჭრეს გული  
დანებით...  
ვით ფრთა-გაშლილი გალაკტიონი,  
საქართველოს ცას –  
აწი ბევრჯერ  
დაეზმანები.

2004



\* \* \*

განთიადი რომ იყივლოს,  
გზად აჩერებს  
და არ უშვებს,  
ბელზებელი და მაცილი,  
მზეს –  
ვარდისფერ დეზებიანს,  
ვარსკვლავებით ცა აცრილი,  
დამეს გამიზეზებია.

1959



\* \* \*

შვიდთა ხელმწიფეთა სპანი,  
ქართველთ გარდა,  
„საზღვარს იქით გავასხი“.  
აი, დიდი კოლხეთი —  
საცხოვრისი: მეგრის-სვანის,  
გესხის-მოსხის-ბასხისა და  
აბასხის.

1973



\* \* \*

მზის ნაშიერი,  
 შოორეული ციდან მოსული,  
 იმ გზას მივყვები,  
 ჩემს წინაპრებს რომ გაუვლიათ.  
 და მეც,  
 მეტოვნის მიწის ის ადლი.  
 ყოველთა შორის,  
 „უმეტესი სიყვარულია“.  
 პოდა,  
 ვით პავლე მოციქული,  
 ვცოცხლობ ღვთის მადლით.

1969



## ხილვა: ფმინდა გიორგი და ნინო

არსოთაგამრიგე თავის ხატის შესაქმნელად,  
კოლხურ მიწას ისევ მოზელს –  
სიხარულმა მარადისად  
რომ იწვიმოს.

ვხედავ: კაბადოკიიდან,  
ვით მიუძღვით –  
კოლხეთისკენ ანგელოზებს –  
წმინდა გიორგი და  
ნინო.

1971



## ხელთ გიაყრია მთიანი

ხარ ერაც და ეპოქაც,  
ხელთ გიაყრია მთიები:  
ქნარებად და  
არფებად.  
და თუ ფრთები გაშალე,  
ცა კი არა,  
კოსმოსიც,  
არ გეყოვა საფრენად.

1969



## მეცობეს ციური აზრი

ზესკნელს,  
ქვესკნელს და გარესკნელს  
უცხო ნათელი მოჰყინოს,  
მეფობს ციური აზრი:  
მალე დაუკრავს მსოფლიო –  
კავკასიონის ქნარზე.

1978



ა. გ. გ.

\* \* \*

შავებით მოსილი ღრუბლები,  
 მიწას გლოვობენ და  
 თავზე ევლებიან.

(ქარები ქცეულან მრუშებად).

მთიები –

მსოფლიოს დედათა ცრემლებია,  
 ცას რომ თვალებში  
 უდგას და...  
 არასდროს უშრება.

1979



## მს ქვეყანა

მზით და მთვარით დახურული,  
ეს ქვეყანა დღეს შენია.  
მაგრამ მოჩანს  
ბჭე – ნაპირთან,  
და... იქ გელის გეჭენია,  
განკითხვა და  
„დრჭენა კბილთა“.

1988



\* \* \*

დიდხანს ვერ განინათლა,  
სიავისგან კაცო-მოდგმა,  
ვერც ცეცხლით და  
ვერც წყალით.  
ბოლოს მაინც სიკეთე,  
მოფრინდა, ვით მერცხალი  
და სიცოცხლის ტოტებზე  
ლამაზ ბუდეს იპოთებს.

2001



\* \* \*

ცისქვეშ ერთად ბუდობენ –  
უბედობაც,  
ბედობაც.  
და... გით იულიანე,  
დიდი იმპერატორი,  
მეც იდუმალ ჰიმნს ვუძღვი,  
მუცელა მეუფეს,  
და „ღმერთების დედოფალს“.

1989



\* \* \*

ଫାସାଗଲୁଏତିଥ,  
ବେଦର ମିଠାକ,  
ବାଲୁଫରିନା ମିଶ୍ରମା  
ବିନଦାନ,  
ଫା କଜୁକା ମଜୁମା ରହିବା.  
ବେଦା ଶ୍ରୀଚରାଣ  
ବାନିରିନଦା  
ଫା ବାଧ କଲା ବାନିବା.

1962



## ოთხის პიგმენს

შენ ხარ მარადული  
და დროს არ ჰყოფ  
რაუნდად,  
რადგან ძალა იგემე.  
თქვი: ტიტანთან რა უნდა,  
პოეზიის პიგმენს.\*

2002

---

\* პიგმენი (ბერძნ.) – ჯუჯა.

\* \* \*

სიკვდილი ვერ გიშველის,  
ჩუმად მლოცველს  
ზედაზენს.  
სიბრძნის გზაზე გაქცეულ  
ჟამს თუ ვერ დაეწიე.  
არჩევს ერთი მზეთამზე,  
მიწიერს და  
ზეციერს.

1997



## ხილვა: სიონის მთა

მიღმა ათასწლეულთა,  
ნათელს მხეცი მიფარავს,  
რადგან მასთან ვიომე.  
და ვჭვრეტ: „მთაზე სიონის“  
მდგარ კრავსა და  
ცხვრის ფარას.

1969



**PIETA**

მზე ჩადის და თვალები –  
 ცას ცრემლით აქვს სოველი,  
 რადგან დრომ გაიმეტა.  
 და მზის ჩასვლა ყოველი  
 არის დღისთვის პიეტა.\*

1984

---

\* პიეტა (იტალ.) – ნახატი, რომელზედაც გამოსახულია ჯვრიდან ჩამოსხილი ქრისტეს დატირება.



\* \* \*

სადღაც ღრუბლების ჩანს კუნძულები  
და მთვარე მიდის,  
ვით ოდისევსი,  
ცისკენ იწევენ მთა და გორები.  
დამე ბნელს ამბობს,  
და ვითარც კირკებ,  
სურს რომ აქციოს ვარსკვლავები  
დორებად.

1963



\* \* \*

ასე არის ყოველთვის:  
ჟამს სიზმრისფრად  
ოქნების,  
მეათედ თუ მეასედ:  
არ მასვენებს ჭიხვინი,  
გალას „ლურჯა ცხენების“,  
პარნასიდან – პეგასის...

1988



\* \* \*

ლოდს ეფარება და გითვალთვალებს,  
შენი სპეტაკი სისხლი  
სწყურია,  
თუმცა არა აქვს ამის უფლება.  
არ დაიჯერო!  
ის მაცდურია,  
შენ რომ უფლის ხმით გესაუბრება.

1992



\* \* \*

დღე და ღამე ღვიძლებია,  
მზე და მთვარე  
არის მათი საესავი.  
და ცას მიწა ენატრება,  
ვით იაკობს ძმა –  
ესავი.

1984



\* \* \*

წარსულს ამოეფარნენ –

შენი ქალდეველები,  
ხელი დაგიქნიეს და  
მიგატოვეს ხეოებმა.  
მზეთამზე იქ გეგულვის  
და ცას თავზე ეკლები,  
ნეტავ როდის მორჩები  
პლანეტებზე ხეტებას?!

1989



\* \* \*

ჩემმა სიხარულის ცამ,  
მზე მკერდზე დაიბნია,  
ვით შეჰვერის მამა-შვილს.  
და... კითხულობ ბიბლიას,  
ხელისგულზე გადაშლილს.

2001



\* \* \*

როცა თენდება დღე ბნელზე ბნელი,  
უფლის რჩეულმა  
რა ქნას მგოსანმა.  
როს უწმინდური და ბელზებელი,  
სასოების ხეს სულის  
შებერვით  
ახმობს და...  
ეშმა ამბობს „ოსანას“.

1993



## მთიანეთი გალობრივი ქართულ ცას

ეს ცა –

თავს ედგა გვირგვინად,

მზიოთმოსილ ნეფერტიტ –

თათუსაც.

მას შემდეგ რამდენი ითოვა,

იწვიმა...

ვით ახლა, უთვლელი წლის წინათ,

მთიები გალობდნენ

ქართულ ცას.

1998



## ხოტზ – მატზა

ქვე, აღდგომის კუნძულამდე,  
არვინ იცის თუ რამდენი  
ოკეანე გადაბეჭდა  
და ჟამი მოატყუა.  
კვლავ ელიან ინდიელნი  
თავის ბეჭდადს –  
იბერ ხოტზ – მატზას.\*

1999

---

\* ინდიელთა თეთრგანიანი ბეჭდადი (მეოთხე ათასწლეული).



\* \* \*

მეცხრე ციდან ჩამოფრენილს,  
 დღის და დამის ფრთიან  
     მგოსანს,  
 გაკრთობს ხარო და მიწური.  
 გეფხისტყავად ზეცა  
     გმოსავს –  
 ვარსკვლავებით დაწინწკლული.

1969



\* \* \*

ზოგ-ზოგების გონის კართან,  
ისევ ისე სცემენ ბოლოთას,  
ფრანგული და  
ინგლისური.

ქართულით კი შენში,  
როგორც სოლომონთან,  
პვლავ გადმოდის სიბრძნის სული.

2004



\* \* \*

ჯოჯოხეთის კი არა,  
 კარი მარადისობის  
 დანტესავით შეაღე.  
 მიწიერს კი ღვთიური,  
 ისევ გმოსავს მშვენება.  
 შენ ხარ ქრისტეს მებაღე,  
 ლოცვებით მოყვავილე –  
 ბადის მოსაშენებლად.

1981



\* \* \*

ღრუბელი კი ქარ-ბორიას  
მოჰყავს ელვით გაბაწრული,  
გაიხაროს რომ ქორწილმა.  
მუცლადიღებს ცა – ქალწული  
ზღვას,  
რომ შობო თქროს წვიმა.

1962



\* \* \*

ხედავ: შურით უმზერენ,  
 მაგრამ ვედარ ამხელენ:  
 „კოლხური ფსალმუნების“ –  
 „პულსარებს“ და „გვაზარებს“,  
 „ოეთორ ჯუჯებს“  
 და „შავ ხვრელებს“.

1992



\* \* \*

შოორეული წარსულიდან –  
ყიფილი კვლავ გეხმის  
მეცხრის,  
დღეები კი მზეს თესავენ.  
იდუმალი არის ცეცხლი –  
შენი ხსნა და  
საესაგი.

1987



\* \* \*

რუსთაველის ხმა გეხმის,

ისე,

როგორც ნობელის

და შიშის ზარს არისხებ –

ავსულების მობერილ

ქარებსა და

ქარიშხლებს.

2009



\* \* \*

მცხოვრებთ შურის კუნძულზე,  
სიძუღილის და  
ღვარძლის,  
შავ ისრებით დაისრულო,  
უმანკო ცა დასცქერის  
მხეცებს –  
აპოკალიფსურს.

1993



\* \* \*

უხილავი და ფარული,  
მიწის ბრუნვა მაშინ იგრძენ,  
როცა წამით შეიცანი,  
ამა წუთისოფლის არა,  
უთვალომაქცო –  
უფლის სიბრძნე.

1997



\* \* \*

წყვდიადიდან მოსული

ძხე –

ჯვარცმული ქრისტეა,  
ნათელი რომ ამძიმებს.

და პირთამდე ივსება  
სისხლით –

მიწის ბარძიმი.

1993



\* \* \*

ყანას ათასწლეულების  
ვითარც ოქროს კბილა  
ტაროს,  
უფლით, მარცვალ-მარცვალ დაფშვნი.  
რომ იდინოს სიბრძნის  
წყარომ,  
შემოსილმა ნათლის ჯავშნით.

1989



\* \* \*

ლოცვებია – მთიები,  
მიმწუხარმა რომ სივრცეებს,  
ტანზე რომ დაასია.  
საწყალ კაცობრიობას  
ცოდვებისგან იხსნიან.  
ცა – გრაალის თასია,  
და მზე შედედებული,  
მაცხოვარის სისხლია.

1969



\* \* \*

ტრაპიზონს და ფარნაკიას,  
 კოლხეთა დიდი წინაპრები –  
 ჟამმა ყოფნის ჯვარზე აცვა,  
 რადგანაც მათ არ იცოდნენ,  
 მგელი კრავთან არ იძოვებს.  
 ასე მტერმა,  
 მზე წარსტაცა,  
 ალიბებს<sup>1</sup> და ჰალიბონებს<sup>2</sup>

1996

---

<sup>12</sup> ოგივე ქალდები – ძველი ხალიბები.



## სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
წარწერა ლოდზე	25
არ განიკითხო	26
* * *ვით ღვთისმოსავს	27
2003	28
ქვახარშია	29
წუთისოფელი ასევა	30
ალავერდი	31
სამშობლოვ ჩემო	32
ქვაპაცა	33
სასაფლაო	34
ოცნება	35
ვით ხორგას და კაწალხევს	36
ბარისახოში	37
ზღვა არის კაცის ცხოვრება	38
ფშავლის ქალები	39
ჩაკრულო	40
ხვთის შვილები	41
ქრისტეს ნათელი	42
სენტენცია	43
* * *ასედაც არის ნათქვამი	44

არაფერია.....	45
* * *გავ მთაზე.....	46
შეგონება.....	47
* * *გზე მიეფარა მთის კალთებს.....	48
* * *არაა დიდი ნუგეში .....	49
კოცონად აგაბრიალებ.....	50
ავდარი მთაში.....	51
მზის ჩასვლა.....	52
იხაროს შენმა ფესვებმა .....	53
* * *ნუ შეგაშინებს წამიერ .....	54
სიყვარული.....	55
* * *ზოგჯერ კი ასეც მომხდარა.....	56
* * *ზეცაა.....	57
ღმერთი და სატანა.....	58
როგორც პილატე.....	59
ჩოხა.....	60
* * *კეთილად რეკვა ზარების.....	61
კერძი სატანის.....	62
ჩარგლულა და ღულის ჭალა.....	63
ფშავ-ხევსურეთში .....	64
ფშავში.....	65
რა ქნას სიცოცხლემ.....	66
ნეტავი ვაჟას აჩვენა.....	67

ფუნდუკი.....	68
ისევ წუხილი.....	69
მორჩილი.....	70
პეგასი.....	71
ნილოსი და ამაზონი.....	72
სიკეთე და ბოროტება .....	73
უთაო მხედარი .....	74
ერთი ბიძგი .....	75
რწმენა.....	76
ბიბლიაში არ სწერია.....	77
ყვავის დეკა და დვიანი.....	78
სამოთხის კარი.....	79
მკითხველო .....	80
ცეცხლი .....	81
წყაროს ფილოსოფია .....	82
სული.....	83
ორნი.....	84
მონასტერი .....	85
ლოდინი .....	86
* * *ახლა გვიქრობ.....	87
ზღვაო .....	88
გარსკვლავების ოქროს იატაკი.....	89
კოლხური ცა.....	90

* * *გზე დასავლეთით.....	91
წარდგნამდელი ხუთი ქალაქი.....	92
ცნობადის ხე.....	93
* * *გონი.....	94
ნიჭი.....	95
შუმერი.....	96
* * *ზღვა, რომ ზღვაა .....	97
ჯორდანო ბრუნო, გალილეი .....	98
შამაში.....	99
აიეტის კოლხეთი .....	100
რაბი.....	101
მოხუცი მთვარე .....	102
დუმუზი და ინანა .....	103
მთვარის სამარე .....	104
იყო .....	105
მთები .....	106
ნერგალი .....	107
ლოდი .....	108
ნამთარი .....	109
ჩემი ეპიტაფია .....	110
26, 27, 37 .....	111
ოლიმპოზე .....	112
***პონტოსა და ფაზის პირ .....	113

***შენ .....	114
კრწანისის ველი .....	115
***ვითარცა ეს ცა და ეს მიწა .....	116
***დელვა ათასწლეულთა .....	117
შემოდგომას ბიისფერს .....	118
***მოჰყვება ნიავს და .....	119
თბილისო .....	120
რუსთაველი .....	121
მტრედები სიონთან .....	122
ოთხთავი .....	123
***არავითარი ბუსნო და ბელტი .....	124
***ათას კი არა .....	125
გათენება .....	126
მთები და ზღვები .....	127
***მიიდრიკება როდესაც .....	128
ოდაბადე .....	129
***სიხარულის ხის ისმის შრიალი .....	130
***კოლხეთი – ბიბლიაა .....	131
***არსაიდან მოხველი .....	132
ურწმუნოები .....	133
ღრუბლები .....	134
***დასაბამიდან ასეა .....	135
არჩევანი .....	136

მოტაცება.....	137
ფანტელები.....	138
პოეტის ახირება.....	139
მტკვარი.....	140
ციცინათელა – სულია ადამის.....	141
შეგრაცხავენ წმინდანად .....	142
ხილვა: ენგურთან .....	143
ღმერთი და ბიბლია .....	144
ხილვა: სპარსთა ლაშქრობა .....	145
ცას მიადგი რწმენის კიბე .....	146
ნეპტუნი და ურანი.....	147
ქალდევლები ლაშარში .....	148
არმაზის ბილინგვა .....	149
***თეთრი.....	150
მეცხრე.....	151
ჰეი!.....	152
კავკასიის მთები .....	153
ზღვა მწუხრისას მიიცვალა .....	154
ყვირილა .....	155
დღეები, ღამეები .....	156
ძახილი .....	157
შიში.....	158
მთვარის უკანა მხარე .....	159

ცის სასახლე.....	160
დაოსი და გურამიშვილი .....	161
15 .....	162
წვიმიანი დამე.....	163
სიყვარულით სხეული.....	164
ჩემი ხმა .....	165
თარაზული .....	166
სქანი გოლუაფირო.....	167
გაოენდა.....	168
საქართველოს .....	169
ხილვა; აიეტის სასახლე.....	170
ნახვამდის.....	171
მტკვარი და ენგური.....	172
ათონში.....	173
* * *მიწაზე არა .....	174
კიპარისები .....	175
მიტომ ახლო მიხველ ღმერთთან .....	176
* * *რქებზე მზე დანოებულები .....	177
* * *ხალიბების ქურაში.....	178
ცა – ვარსკვლავების ქვიშის საათი.....	179
ხილვა: უტურფურსი .....	180
* * *უსამანო სივრცეებში .....	181
* * *ბიბლიიდან ხმა ისმის .....	182

տօնուածական պատճենների մասին	183
* * * Եղանակներ պատճենների համար	184
դամակագիրների մասին	185
շաբաթական պատճենների մասին	186
* * * Եղանակներ պատճենների համար	187
առաջարկ պատճենների մասին	188
* * * Եղանակներ պատճենների մասին	189
* * * Եղանակներ պատճենների մասին	190
* * * Եղանակներ պատճենների մասին	191
հարցադրությունների մասին	192
* * * Եղանակներ պատճենների մասին	193
* * * Եղանակներ պատճենների մասին	194
* * * Եղանակներ պատճենների մասին	195
* * * Եղանակներ պատճենների մասին	196
* * * Եղանակներ պատճենների մասին	197
* * * Եղանակներ պատճենների մասին	198
* * * Եղանակներ պատճենների մասին	199
* * * Եղանակներ պատճենների մասին	200
* * * Եղանակներ պատճենների մասին	201
* * * Եղանակներ պատճենների մասին	202
* * * Եղանակներ պատճենների մասին	203
Կազմակերպությունների մասին	204

* * *	ცივგომბორიდან ნიავს.....	205
* * *	გერდგაღელილი ფაფანაკებით.....	206
ხილვა:	გელათთან.....	207
* * *	ეპა, რამდენი წელი გავიდა.....	208
* * *	თავმომწონედ .....	209
* * *	გზე კი არა.....	210
* * *	ქართული სიტყვის .....	211
* * *	განთიადი რომ იყივლოს.....	212
* * *	შვიდთა ხელმწიფეთა სპანი .....	213
* * *	გზის ნაშიერი.....	214
ხილვა:	წმინდა გიორგი და ნინო.....	215
ხელთ	გიპყრია მთიები .....	216
მეფობს	ციური აზრი .....	217
* * *	შავებით მოსილი ღრუბლები .....	218
ეს	ქვეყანა .....	219
* * *	დიდხანს ვერ განინათლა .....	220
* * *	ცისქვეშ ერთად ბუდობენ .....	221
* * *	დასავლეთით .....	222
ოეზიის	პიგმებს .....	223
* * *	სიკვდილი ვერ გიშველის .....	224
ხილვა:	სიონის მთა.....	225
I	თ.....	226
* * *	სადღაც ღრუბლების.....	227

- \* \* \* ასე არის ყოველთვის ..... 228
- \* \* \* ლოდს ეფარება ..... 229
- \* \* \* დღე და დამე დგიძლებია ..... 230
- \* \* \* წარსულს ამოეფარნენ ..... 231
- \* \* \* ჩემმა სიხარულის ცამ ..... 232
- \* \* \* როცა ოქნდება დღე ბეჭედზე ..... 233
- მთიები გალობდნენ ქართულ ცას ..... 234
- ხოტუ – მატუა ..... 235
- \* \* \* მეცხრე ციდან ჩამოფრენილს ..... 236
- \* \* \* ზოგ-ზოგების გონის კართან ..... 237
- \* \* \* ჯოჯოხეთის კი არა ..... 238
- \* \* \* ღრუბელი კი ქარ-ბორიას ..... 239
- \* \* \* ხედავ: შურით უმზერენ ..... 240
- \* \* \* შოორეული წარსულიდან ..... 241
- \* \* \* რუსთაველის ხმა გესმის ..... 242
- \* \* \* მცხოვრებთ შურის კუნძულზე ..... 243
- \* \* \* უხილავი და ფარული ..... 244
- \* \* \* წყვდიადიდან მოსული ..... 245
- \* \* \* ყანას ათასწლეულების ..... 246
- \* \* \* ლოცვებია – მთიები ..... 247
- \* \* \* ტრაპიზონს და ფარნაკიას ..... 248

D. S. Gammie



ვაჟა ებრისელი

## გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 96

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 96

- |                     |                             |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის       |                             |
| რედაქტორი           | – გილეა სახიშვილი           |
| მხატვარი            | – სპართაკ ციცაძე            |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე           |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღვამაძე              |
| კორექტორი           | – გივა აგაშილავა            |
| კომპიუტერული        |                             |
| უზრუნველყოფა        | – ნანა და დათო ყანეაშვილები |
| გამომცემელი         | – მათე დოლგაია              |

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „კონსალტი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com